

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნიკა სერგია

კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების გავლენა  
ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა (მოდული: მაკროეკონომიკა)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ასოც. პროფ. ნაზირა კაკულია

თბილისი, 2020

## ანოტაცია

კონკურენციის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოში თითქმის 30 წლიანი ისტორია აქვს, 2014 წელს პრაქტიკულად ხელახლა იქნა იმპლემენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში. იმ წყვეტის გათვალისწინებით, რომელიც ქვეყანას ამ მიმართულებით აღსრულების ეფექტიანობაში ჰქონდა 2005-2014 წლებში, 2014 წელს განხორციელებულმა რეფორმებმა ერთი მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, მეორე მხრივ კი ამ პროცესების აკადემიური ანალიზის მძაფრი საჭიროება გააჩინა. წინამდებარე ნაშრომიც ამ აკადემიური პროცესების ნაწილად მოიაზრება.

ნაშრომში განხილულია კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების გავლენა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამ კონტექსტში გაანალიზებულია კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებიც ცნება და მისი როგორც რაოდენობრივად გაზომვადი ცვლადის მდგენელები, იდენტიფიცირებულია ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრები, რომლებზეც ამ ცვლადს თეორიულად შეუძლია გავლენის მოხდენა, ხოლო თეორიული ანალიზის საფუძველზე წარმოებულია პრაქტიკული დაკვირვება საქართველოსა და სხვა ოთხი გარდამავალი ან სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის 2006-2018 წლების რეალურ მონაცემებზე.

ნაშრომის პირველად მიზანს წარმოადგენს ზემოთაღნიშნული გავლენის არსებობის საკითხის დადგენა, თუმცა გავლენის ხარისხის ზუსტ ანალიზს შემდგომი ფართო ეკონომეტრიკული კვლევების საგნად ტოვებს. ამავდროულად, კვლევის ფარგლებში შემუშავებულ იქნა ახალი ცვლადი, რომელიც კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობის საზომად შეიძლება იქნას გამოყენებული.

საბოლოოდ ნაშრომი საშუალებას იძლევა, პასუხი გაეცეს დასმულ პრობლემას სამაგისტრო ნაშრომის ფორმატით შესაძლებელ ფაგლებში, რითაც ქმნის აკადემიურად დასაბუთებულ პოზიციას კონკურენციის პოლიტიკის საჭიროებისა და მიზნაშეწონილობის თაობაზე მიმდინარე დისკუსიისთვის ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

## **Annotation**

### **The impact of effective enforcement of competition policy on the main macroeconomic indicators**

**Nika Sergia**

Despite having the up to 30 years of history, the Georgian Competition Policy was re-implemented and brought back on the economic policy agenda in 2014. Considering the gap in enforcement between 2005 and 2014 the renewed agenda has gained more importance and the need for broad academic support and research has been established. The presented master's thesis is also a part of this academic processes.

The work concerns with the impact of effective enforcement of competition policy on the main macroeconomic indicators. In this context it defines the effective enforcement and its' components for measurement of the effectiveness of enforcement. On the other hand the work identifies main macroeconomic indicators which may be theoretically considered as relevant in the context of competition policy. Along with theoretical analysis of the impact, the research was conducted based on empirical data of 5 transitional and fast developing economies (including Georgia) for the period between 2006 and 2018.

The primary goal of the research was to analyse the issue of the existence of any impact between competition policy enforcement and selected macroeconomic indicators, but leaves the exact quantitative evaluation of the impact as a topic for the future deep econometrical analysis. Within the research framework the new variable (CPE index) was created for the measurement of the effectiveness of the competition policy.

Summing up, the presented thesis gives answers on the stressed problem as it was possible in the M.Sc. research framework, creating justified academic opinion on the matters of actual discussion on the need and feasibility of the competition polici on the national or international level.

# შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. კონკურენციის პოლიტიკა და რელევანტური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.....	8
1.1. კონკურენციის პოლიტიკის მიზანი და ფუნქციები. კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობა.....	8
1.2 კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები და აღსრულება. აღსრულების ეფექტიანობის კრიტერიუმები .....	11
1.3. ეფექტიანობის შეფასების მეთოდები: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მეთოდი, Global Competition Review-ის მეთოდი, არაბინარული და ხარისხობრივი შეფასების მეთოდები .....	22
თავი II. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სიტუაციური ანალიზი.....	28
2.1. შშპ და შშპ-ის წლიური ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია, უმუშევრობა .....	28
2.2. კონკურენციის პოლიტიკის გავლენის ანალიზი: სამომხმარებლო დანაზოგის მიდგომა, მაკროეკონომიკური მოდელის მიდგომა.....	47
თავი III. კონკურენციის პოლიტიკის გავლენის შეფასება.....	57
3.1. კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ზოგადი ექვილიბრიუმის ანალიზი, ეკონომიკური ზრდის რეგრესიული მოდელი. ....	57
3.2. რეგრესიული მოდელის გამოყენება სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიმართ (ინფლაციის რეგრესიული ანალიზი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგრესიული ანალიზი, უმუშევრობის რეგრესიული ანალიზი).....	65
დასკვნა .....	71
გამოყენებული ლიტერატურა.....	73

## შესავალი

კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მან უნდა უზრუნველყოს ბაზრების იმგვარი ფუნქციონირება, ან ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომ ბაზრის ეფექტიანობა მაქსიმალური იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვუშვებთ, რომ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანმა აღსრულებამ შედეგად უნდა მოგვცეს შესაბამის სასაქონლო თუ პროდუქციული ბაზრების ეფექტიანობის ზრდა (Aghion & Schankerman, 2004)<sup>1</sup>. მაგალითისთვის 2003 წლის კვლევამ, რომელიც OECD-ის 19 ქვეყნის პანელურ მონაცემებს ეყრდნობოდა, უჩვენა, რომ სასაქონლო და შრომის ბაზრებზე კონკურენციის ზრდამ<sup>2</sup> მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტი იქონია მრავალფაქტორულ მწარმოებლურობაზე.<sup>3</sup> (Nicoletti, 2003)

**საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება:** წინამდებარე ნაშრომის საკვლევი ობიექტს, ერთი მხრივ, სწორედ კონკურენციის პოლიტიკა, მისი აღსრულების მექანიზმები, ამ მექანიზმების მეშვეობით კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობის შეფასება წარმოადგენს, მეორე მხრივ კი ობიექტად უნდა მოვიაზროთ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და უმუშევრობა. კვლევის საგანი კი კვლევის ობიექტებს შორის კავშირის, ზეგავლენის არსებობის დადგენაა.

**თემის აქტუალობა:** თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც კონკურენციის სამართალი, როგორც ქართული სამართლებრივი სივრცისთვის ახალი მიმართულება<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Aghion, P., Schankerman, M., On the Welfare Effects and Political Economy of Competition-enhancing Policies, *The Economic Journal*, no. 114, 2004, pp. 800–824.

<sup>2</sup> იგულისხმება ევროპის კავშირის ერთიანი შიდა ბაზრის შემოღების შედეგები

<sup>3</sup> ob. Nicoletti, Giuseppe & Scarpetta, Stefano, Regulation, productivity, and growth : OECD evidence, Policy Research Working Paper Series 2944, The World Bank, 2003 (ხელმისაწვდომია: <https://ideas.repec.org/p/wbk/wbrwps/2944.html> 18.07.2019)

<sup>4</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 1992 წლიდან მოქმედებდა კონკურენციის მარეგულირებელი/მხარდამჭერი საკანონმდებლო აქტები, ქართული კონკურენციის სამართალი მაინც მუდმივად დაშორებული იყო ამ მიმართლებით ჩამოყალიბებულ ევროპულ და ამერიკულ მიდგომებს. კონკურენციის სამართლის ევროპულ სისტემასთან დაახლოების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 2012 წლის 8 მაისის კანონი „კონკურენციის შესახებ“ (თავდაპირველად „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც პრინციპების დონეზე ახლოს დგას ევროპულ მიდგომასთან და

საკანონმდებლო აქტების დახვეწისა და პოლიტიკის ეფექტიანობის ხარისხის გაზრდისთვის მნიშვნელოვან აკადემიურ მხარდაჭერას საჭიროებს. აღნიშნული პროცესი პარალელურად გულისხმობს კონკურენციის პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და რეგულირების ეკონომიკური ეფექტის პერმანენტულს ანალიზს. ამავდროულად, იგი პირდაპირ კავშირშია საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან დადებულ „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ხელშეკრულებასთან<sup>5</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ „ასოცირების შესახებ ხელშეკრულება“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ინსტრუმენტს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული სამართლებრივი სივრცის, მათ შორის, კონკურენციის პოლიტიკის ევროპულ ანალოგთან ჰარმონიზაცია და შესაბამისი ნორმების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში, არ გულისხმობს სამართლებრივი დანაწესების პირდაპირ გადმოტანას/კოპირებას. ჰარმონიზაციის პროცესი ბევრად რთული და კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს, რაც გულისხმობს შესაბამისი რეგულაციების იმგვარი ფორმით გადმოტანას საქართველოში, რომ მიღწეულ იქნას ის ეკონომიკური ეფექტი, რომელიც უზრუნველყოფილ იქნა საუკეთესო გამოცდილების მქონე ევროპულ სახელმწიფოებში. ეს კი აღნიშნული რეგულაციების ქართულ სივრცეზე მორგებას ნიშნავს.

სწორედ ქართულ სივრცეზე მორგების მიზანი მოითხოვს ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, უფრო კონკრეტულად კი მაკროეკონომიკური ანალიზის ჩართვას პროცესში. მნიშვნელოვანია, გაირკვეს თუ როგორი ზეგავლენა ექნება კონკრეტული

---

ითვალისწინებს როგორც კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების, ასევე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის შემზღუდაველი კონცენტრაციის აკრძალვას, სახელმწიფო დახმარების რეგულირებასთან ერთად. (ავტ. შენ.)

<sup>5</sup> იხ. აღნიშნული ხელშეკრულება, კარი IV, თავი მე-10

„მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით“.

ტიპის რეგულირების ეფექტიან ადსრულებას ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და მეორე მხრივ, შესაფასებელია, თუ რაგვარი ადსრულება შეიძლება იყოს ეფექტიანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის პოლიტიკის ადსრულების ეფექტიანობის შეფასება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ელემენტს ამ პოლიტიკის შემდგომი გავლენების ანალიზისთვის.

#### **ნაშრომის მიზანი:**

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, პასუხი გასცეს კითხვებს იმის თაობაზე, გაზომვადია თუ არა და როგორ უნდ გაიზომოს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობა? თეორიულად რა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე შეიძლება ახდენდეს გავლენას კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობა? ასევე მეორე მხრივ ნაშრომის მიზანია შემოწმდეს, არსებობს თუ არა კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობასა და ხსენებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის რაიმე კავშირი, რომელსაც შეიძლება დაერქვას ზეგავლენა. განხილულია კონკურენციის პოლიტიკის ადსრულების ძირითად ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენა, რაც გულისხმობს რამდენიმე ელემენტთან ანალიზს. კერძოდ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკურენციის პოლიტიკა და მისი ეფექტიანი ადსრულება, როგორც გაზომვადი სიდიდე, ასევე საჭირო იდენტიფიცირებულ იქნას ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ამ კვლევის მიზნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ხოლო შემდეგ შემოწმდეს ამ გავლენის არსებობა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ გამომდინარე სამაგისტრო კვლევის მასშტაბიდან და მისი ფორმატიდან, ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს კვლევის ობიექტებს შორის ზეგავლენის დადგენის შემთხვევაში ამ ზეგავლენის ხარისხის ღრმა ეკონომეტრიკული შეფასება. ამგვარი შეფასება მოაზრებულია ცალკე კვლევის საგნად, რომელიც არ ექცევა აღნიშნული ნაშრომის შინაარსობრივ და სტრუქტურულ ფარგლებში.

# თავი I. კონკურენციის პოლიტიკა და რელევანტური მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

## 1.1. კონკურენციის პოლიტიკის მიზანი და ფუნქციები.

### 1.1.1 კონკურენციის პოლიტიკის არსი

1957 წელს რომის ხელშეკრულებაში მიეთითა, რომ ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა „ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობას საერთო ბაზარზე“.<sup>6</sup> აღნიშნული მიზანი აქტუალური დარჩა დღემდე, როდესაც კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ უმაღლეს ორგანოდ ევროპის კავშირში ევროკომისია წარმოგვიდგება და კონკურენციის პოლიტიკას ცალკე ევროკომისიარი კურირებს.

შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის არსი მისი ყველაზე ზოგადი გაგებით გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებათა და ინსტრუმენტთა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ბაზრებზე კონკურენციის შეზღუდვის რისკის მინიმიზაციისკენ. აღნიშნულს, რა თქმა უნდა, გააჩნია თავისი მიკროეკონომიკული მიზეზები. კერძოდ კი ეკონომიკურ დოქტრინაში ერთგვარ აქსიომად დამკვიდრებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საბაზრო სტრუქტურებს შორის იდეალური სრულად კონკურენტული ბაზრის სტრუქტურაა. ეკვილიბრიუმის ზოგადი თეორიის შესაბამისად, იდეალური ბაზრის დეფინიცია რამდენიმე თეორიულ დაშვებას მოიცავს, რომლებიც სრულად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურის ცნების ქვეშ ერთიანდება. სრულად კონკურენტულ ბაზარზე კი ნებისმიერი პროდუქტისა და მომსახურების მიწოდება, ასევე შრომის მიწოდება შეესაბამება

---

<sup>6</sup> Article 3(1)(g) of the Treaty establishing the European Economic Community, 25.3.1957 ('a system ensuring that competition in the common market is not distorted')



მოთხოვნას, შესაბამისად, ამგვარი ეკვილიბრიუმი პარეტო ოპტიმალურია<sup>7</sup> (Debreu, 1972).

### 1.1.2. კონკურენციის პოლიტიკის მიზანი და ფუნქციები

კონკურენციის პოლიტიკის არსიდან გამომდინარე მეტ-ნაკლებად ნათელი ხდება ისიც, თუ რა მიზანი და ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს მას. აღნიშნული მიზნები და ფუნქციები შესაძლებელია ორ დიდ ჯგუფად დაიყოს. პირველი ზემოთ აღწერილი „ეკონომიკური ეფექტიანობის“ მიღწევასთან დაკავშირებული ამოცანებია, მეორე ჯგუფს კი ის მიზნები მიეკუთვნება, რომლებიც „საჯარო ინტერესის“ განხორციელებას ემსახურება. ( Asia-Pacific Economic Cooperation, APEC Committee on Trade and Investment (CTI), 1999)<sup>8</sup>

საჯარო ინტერესის კონტექსტში პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას **მომხმარებელთა კეთილდღეობის** მიზანს. მიუხედავად იმისა, რომ მოხმარებელთა უფლებების დაცვა არ წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის უშუალო მიზანს<sup>9</sup> (Schrepel, 2019), მოხმარებელთა კეთილდღეობა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტია<sup>10</sup> (Whish & Bailay, 2012). პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებისას მოხმარებელთა ინტერესი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც იქცევა იმ საზომად კონკურენციის შეზღუდვის ეფექტის შეფასებისას, რომელსაც უნდა შედარდეს კონკურენციის შეზღუდვით გამოწვეული მიზანი. თუ ამ დებულებებს განვაზოგადებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკურენციის პოლიტიკის ფუნქციაა მიიღოს ბაზრები, რომლებიც ფუნქციონირებენ მოხმარებლებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დებულება არაერთხელ გაჟღერებულა კონკურენციის

---

<sup>7</sup> იხ. Gerard Debreu, Theory of Value: An Axiomatic Analysis of Economic Equilibrium, Yale University Press, New Haven CT, 1972

<sup>8</sup> Study on Competition Laws for Developing Economies, Asia-Pacific Economic Cooperation, APEC Committee on Trade and Investment (CTI), 1999, გვ. 1

<sup>9</sup> Schrepel, Thibault, Antitrust Without Romance, 2019, გვ. 49 და შემდგომში

<sup>10</sup> Whish, Richard/Bailay, David, Competition Law, Oxford Un. Pr, 2012, გვ.21

დაცვის ოფისების ისეთი მაღალი რანგის წარმომადგენელთაგან როგორცაა კონკურენციის ეროკომისარი<sup>11</sup> (Vestager, 2018).

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტიანობას, აქ პირველ რიგში კონკურენციის პოლიტიკის დაცვითი ფუნქცია უნდა მოვიაზროთ, რაც ბაზრებზე კონკურენტული გარემოს დაცვასა და ხელშეწყობას გულისხმობს. ეს თავისთავად მოიცავს იმ მიდგომას, რომ კონკურენციის პოლიტიკის მიზანია უშუალოდ კონკურენცია და არა მისგან გამომდინარე ეფექტიანობა, ვინაიდან როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ბაზარზე კონკურენციის არსებობის შემთხვევაში a priori ივარაუდება, რომ იგი შექმნის ეფექტიანობას. საინტერესოა, რომ იგივე ეხება ბუნებრივ მონოპოლიებსაც კი. თუ ისეთ ბაზარზე, სადაც ეკონომიკურად ყველაზე ეფექტიანი ბაზრის მონოპოლიური სტრუქტურაა, კონკურენციის (დამატებითი კომპანიების შესვლის შედეგად) შემთხვევაში საბოლოოდ ბაზარზე ყველაზე ეფექტიანი კომპანია დარჩება.

კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად უნდა დავასახელოთ ასევე გადანაწილება, რედისტრიბუცია, რაც ირიბად შეიძლება მიღწეულ იქნას დიდი საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებისთვის გარკვეულ თავისუფლებათა შეზღუდვის შედეგად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მეტი საბაზრო არეალის მიცემის საშუალებით.

თუმცა, გარდა ზოგადი მიზნებისა, კონკურენციის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყანასა თუ ეკონომიკურ სივრცეში კონკრეტიზირდება შედარებით სპეციფიური მიზნების მიღწევაზე. ასეთი მიზნები როგორც წესი, განსხვავდება სახელმწიფოთა განვითარების დონის მიხედვით.<sup>12</sup> *განვითარებადი ქვეყნებისთვის, მთავარი გამოწვევა კონკურენციის სამართლის გლობალიზაციისა და მის შედეგად გამოწვეული ეროვნული კონკურენციის ჩარჩოების დაახლოვების პროცესში საკუთარი კონკურენციის ჩარჩოს იდენტიფიკაციის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია*

---

<sup>11</sup> მაგ. იხ. Margrethe Vestager, Comm'r, European Comm'n, სიტყვა, წარმოთქმული: Studienvereinigung Kartellrecht International EU Competition Law Forum: A Market that Works for Consumers (12.03.2018), [https://ec.europa.eu/commission/commissioners/2014-2019/vestager/announcements/market-worksconsumers\\_en](https://ec.europa.eu/commission/commissioners/2014-2019/vestager/announcements/market-worksconsumers_en) (19.07.2019)

<sup>12</sup> ჯაფარიძე, ლიანა, [ავტ. კოლექტივი], საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ.102

იმითომ, რომ მათ უმრავლესობას ხსენებული ჩარჩოს საფუძველად განვითარებული ეკონომიკების - აშშ-ის ან ევროკავშირის - კანონმდებლობა აქვს აღებული<sup>13</sup>. სწრაფგანვითარებადი ქვეყნებისთვის, სურათი ოდნავ განსხვავებულია. როგორც წესი, მათი უმრავლესობისთვის პრიორიტეტი ეკონომიკური ზრდაა და შესაბამისად, ბაზრის მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა კონკურენციის სამართლის მთავარ მიზნად მიიჩნევა<sup>14</sup> (ზუკაკიშვილი, et al., 2019). ხოლო განვითარებული ქვეყნებისთვის გამოწვევები და შესაბამისად, პოლიტიკის მიზნებიც ისეთ საკითხებს უკავშირდება, როგორც ეკონომიკის დიგიტალიზაცია და მისგან გამომდინარე პრობლემებია.

## 1.2. კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები და აღსრულება. კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობა

### 1.2.1. კონკურენციის პოლიტიკის ინსტრუმენტები და აღსრულება

კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი ინსტრუმენტების დანერგვა და გამოყენება. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ინსტრუმენტებიდან უმნიშვნელოვანესია უშუალოდ საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“. რომლის საფუძველზეც შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონკურენციის სააგენტო, რომელიც წარმოადგენს კიდევ ეკონომიკური პოლიტიკის ამ მიმართულების უშუალო განმახორციელებელს.

კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით ხდება. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება 1992

---

<sup>13</sup> ჯაფარიძე, ლიანა, [ავტ. კოლექტივი], საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ.102

<sup>14</sup> იქვე.

წლიდან იწყება და დღემდე მისი განვითარება 8 ეტაპად შეგვიძლია დავყოთ<sup>15</sup> (ხადური & ფეტელავა, 2017).

ზოგადად, შეგვიძლია გამოვყოთ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით წარმოადგენს ამ პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების აუცილებელ მდგენელს. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების აკრძალვა<sup>16</sup>, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა<sup>17</sup>, შერწყმების/კონცენტრაციების წინასწარი შეთანხმება<sup>18</sup>, სახელმწიფო დახმარებების კონტროლი<sup>19</sup>, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვა<sup>20</sup>.

საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების ძირითად ბერკეტებს წარმოადგენს სააგენტოს უფლებამოსილებანი, გამოიკვლიოს შესაბამისი ბაზრები და კანონდარღვევის/საბაზრო ჩავარდნის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, კერძოდ:

1. დააჯარიმოს კანონმდამრღვევი კერძო სუბიექტი
2. გასცეს რეკომენდაციები როგორც კერძო, ასევე საჯარო სუბიექტებზე
3. არ დართოს შერწყმის/კონცენტრაციის ნება კომპანიებს იმ შემთხვევაში, როცა ამან შესაძლოა შეზღუდოს კონკურენცია
4. დაარეგულიროს და აკრძალოს სახელმწიფო დახმარება, რომელმაც შესაძლოა შეზღუდოს კონკურენცია.

---

<sup>15</sup> ხადური, ნოდარ/ფეტელავა, სლავა, ეკონომიკური კონკურენციის პოლიტიკის იმპლემენტაცია საქართველოში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“ შრომების კრებული, თბილისი, 2017, გვ. 311 და შემდგომნი

<sup>16</sup> „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, TFEU 101-ე მუხლი

<sup>17</sup> „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, TFEU 102-ე მუხლი

<sup>18</sup> „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი

<sup>19</sup> „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი

<sup>20</sup> „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი

აღსანიშნავია, რომ იმ სფეროებში, სადაც საქართველოში მოქმედებს შესაბამისი სექტორული მარეგულირებელი (უმეტეს შემთხვევაში მარეგულირებელი კომისია), როგორცაა ენერგეტიკა, კომუნიკაციები, ან საბანკო სფერო, კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო. რაც შეეხება უშუალოდ კანონდარდვევებს, რომლისთვისაც სააგენტო კერძო სუბიექტებს წინა წლის წლიური ბრუნვის 5%-მდე თანხით აჯარიმებს, ძირითადად ისინი ეხება კარტელურ შეთანხმებებსა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

გარდა ზემოთ მოყვანილი პირდაპირი ინსტრუმენტებისა, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებისათვის გამოიყენება ე.წ. რბილი სამართალიც, რომელსაც სხვაგვარად კონკურენციის ადვოკატირების სახელითაც ვიცნობთ. *კონკურენციის ადვოკატირების ცნება უფრო ფართოა ვიდრე კონკურენციის კანონის იძულებითი აღსრულებისა და გულისხმობს კონკურენციის სააგენტოს მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში. კონკურენციის ადვოკატირების მიზანია ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფა, რომელიც “შეამცირებს ბაზარზე შესასვლელ ბარიერებს, წახალისებს დერეგულირებისა და ვაჭრობის ლიბერალიზების პროცესებს და მინიმუმამდე დაიყვანს მთავრობის ინტერვენციების რისკს“ (WB, OECD 1998)<sup>21</sup> (ლაფაჩი, 2017).*

### 1.2.2. აღსრულების ეფექტიანობის კრიტერიუმები

მას შემდეგ, რაც ზემოთ მოყვანილი მსჯელობით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ეფექტიანად აღასრულოს კონკურენციის პოლიტიკა, ჩნდება კითხვა - კერძოდ, რა შეიძლება იყოს ამ ეფექტიანობის კრიტერიუმი, ანუ რა შემთხვევაში, რომელიც ფაქტორების, წინაპირობების

---

<sup>21</sup> ლაფაჩი, ქეთევან, კონკურენციის ადვოკატირების პრობლემები და გამოწვევები საქართველოში, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“ შრომების კრებული, თბილისი, 2017, გვ.128

არსებობისას შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტული პოლიტიკა ეფექტიანად. რომელი ფაქტორები ახდენს მასზე დადებით ან უარყოფით გავლენას სხვა თანაბარ პირობებში?

ყველაზე მარტივი და ზოგადი განმარტება აღსრულების ეფექტიანობისა, იქნება პოლიტიკის აღსრულების იმგვარი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილი კონკურენციისკენ შესაბამისი ბაზრების სწრაფვას, კერძოდ კი საბაზრო სტრუქტურის ცალკეულ ელემენტებს უბიძგებს მიუახლოვდნენ სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო სტრუქტურის ელემენტებს. ასეთ ელემენტებად შეგვიძლია მოვიაზროთ:

1. კომპანიების რაოდენობის ზრდა ბაზარზე
2. შესვლის უმნიშვნელო, ან დაბალი ბარიერები
3. დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიების არარსებობა ბაზარზე
4. ბაზრის თავისუფალი ფუნქციონირების პრინციპის დაურღვევლობა შეთანხმებებით, ან სხვა საშუალებებით.
5. საბაზრო ფასი, რომელიც უახლოვდება ზღვრულ დანახარჯებს

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონკურენციის კონკრეტულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მიზნების მიღწევა, ან მათკენ სწრაფვა, ნათელი ხდება, რომ საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ეკონომიკური გარანტიები იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, თავიდან იქნას აცილებული კონკურენციის შეზღუდვა (არსებული მდგომარეობის გაუარესება), მეორე მხრივ კი ხელი შეეწყოს უკეთესი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას (არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება).

აღნიშნული მიზნების მისაღწევად 2010 წლის მდგომარეობით მსოფლიოს 126 ქვეყანას, რომელთა ეკონომიკები მსოფლიო მშპ-ის 95%-ს შეადგენდა<sup>22</sup> (Bradford & Chilton, 2018), მიღებული ჰქონდა კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა. რა თქმა

---

<sup>22</sup> Bradford/Chilton, Competition Law Around the World From 1889 to 2010: The Competition Law Index, Oxford University Press, 2018, გვ.1

უნდა, ამის მიუხედავად, ერთმანეთისგან განსხვავდებოდა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ინტენსივობა და ეფექტიანობა თითოეულ მათგანში, რაც შესაბამის კრიტერიუმებში შეიძლება გამოიხატოს.

#### 1.2.2.1. საკანონმდებლო კრიტერიუმები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, აღსრულების ეფექტიანობის შეფასებისას ერთ-ერთი კრიტერიუმია, ის, საერთოდ არსებობს თუ არა კონკურენციის კანონმდებლობა შესაბამის სახელმწიფოში. თუმცა, მაშინაც კი თუ ის მიღებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს, არეგულირებს და მოიცავს თუ არა ეს კანონმდებლობა აღსრულების ძირითად ინსტრუმენტებს/მიმართულებებს, როგორცაა კარტელების აკრძალვა, დომინირებული მდგომარეობის აკრძალვა და სხვა<sup>23</sup>.


ბრედფორდმა და ჩილტონმა (Bradford & Chilton, 2018) თავიანთ კვლევაში<sup>24</sup>, რომელშიც განიხილავდნენ კონკურენციის სამართლის ინდექსს, ყურადღება გაამახვილეს რამდენიმე საკანონმდებლო დანაწესზე<sup>25</sup>, კერძოდ, მათ ინდექსის წონა ორ ნაწილად დაყვეს, პირველი ნაწილი (50%) მიანიჭეს კონკურენციის დაცვის ოფისს, მის ინსტიტუციონალურ მოწყობას, მეორე კი (50%) თანაბრად გადაანაწილეს მატერიალური სამართლის ნაწილზე, კერძოდ კარტელების, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვასა და კონცენტრაციების კონტროლზე. შესაბამისად, ინდექსმა შემდეგი სახე მიიღო:

---

<sup>23</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი გვ. 9-10

<sup>24</sup> Bradford/Chilton, Competition Law Around the World From 1889 to 2010: The Competition Law Index, Oxford University Press, 2018

<sup>25</sup> ინდექსი მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერებს ეყრდნობა და არ ითვალისწინებს პრაქტიკული აღსრულების კრიტერიუმებს



ნახაზი 1. კონკურენციის სამართლის ინდექსის სტრუქტურა (Bradford & Chilton, 2018)

### კონკურენციის დაცვის ოფისი

კონკურენციის დაცვის ოფისის შეფასებისას, რომელიც კონკურენციის სამართლის ინდექსის წონის ნახევარს შეადგენს, ცალ-ცალკე ყურადღება ექცევა შემდეგ კრიტერიუმებს:

#### ა. ex officio მოკვლევის წარმოების უფლება (დადებითი)

მნიშვნელოვანია, კონკურენციის დაცვის ოფისს კანონით ჰქონდეს გარანტირებული უფლება, საკუთარი ინიციატივით დაიწყოს კონკრეტული საქმის, სავარაუდო სამართალდარღვევის მოკვლევა. ეს ზრდის მისი დამოუკიდებლობის ხარისხს და საშუალებას აძლევს, კონკურენციის შეზღუდვის სავარაუდო ფაქტებზე რეაგირება მოახდინოს მაშინაც, როდესაც ამის თაობაზე კერძო აგენტები არ განაცხადებენ, სურვილის, ან შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო.

#### ბ. ჯარიმები (დადებითი)



შეფასების ფაქტორს წარმოადგენს ისიც, გათვალისწინებულია თუ არა ჯარიმა შესაბამისი სამართალდარღვევისათვის. გარდა იმისა, რომ ჯარიმას ერთგვარი სოციალური რესტიტუციის ფუნქცია გააჩნია, იგი ასრულებს პრევენციულ ფუნქციასაც. შესაბამისად, ეფექტიანი დაჯარიმების მექანიზმი, განჭვრეტადობის მაღალი ხარისხის მქონე რეგულირების პირობებში კონკურენციის შეზღუდვისგან მეტ თავშეკავებას იწვევს, რაც თავისთავად დადებითად მოქმედებს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობაზე.

#### გ. პატიმრობა (დადებითი)

ზოგიერთ ქვეყანაში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის სასჯელის ზომად პატიმრობაა გათვალისწინებული<sup>26</sup> (Galloway, 2017). როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი დევნა გათვალისწინებულია კარტელურ შეთანხმებებზე. მათ შორის საქართველოშიც, სისხლის სამართლის კოდექსის 196<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის. ამგვარი სასჯელის არსებობა, როგორც წესი იწვევს კომპანიების მხრიდან დარღვევებისგან კიდევ უფრო მეტად თავშეკავებას. მიუხედავად ამისა, შესაძლოა ეს ყოველთვის არ იყოს ეფექტიანი, ვინაიდან ხშირად საპატიმრო სასჯელის შიში ხელს უშლის კომპანიების თანამშრომლობას კონკურენციის დაცვის ოფისთან.

#### დ. სტრუქტურული ღონისძიებები<sup>27</sup> (დადებითი)

კონკურენციის დაცვის ოფისის მოქმედებათა არეალს ზრდის და ეფექტიანობაზე დადებითად აისახება, თუ არსებობს საშუალება დომინირებული მდგომარეობის მქონე კომპანიების მიმართ გამოყენებულ იქნას სტრუქტურული ღონისძიებები, (Maier-Rigaud, 2013) მაგ. დაშლა. მართალია, ასეთი ღონისძიებები

---

<sup>26</sup> მაგ. ob. Whelan, Peter, Competition Law and Criminal justice, ასევე შესულია The Intersections of Antitrust, Galloway (ed.), Oxford University Press, 2017

<sup>27</sup> Maier-Rigaud, Frank P., Behavioural versus Structural Remedies in EU Competition Law, chapter 7, 207-224 in: Philip Lowe, Mel Marquis and Giorgio Monti (eds.), European Competition Law Annual 2013

პრაქტიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან იშვიათად გამოიყენება, თუმცა ამას რა თქმა უნდა გააჩნია პრევენციული ხასიათი.

ე. ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა<sup>28</sup> (დადებითი)

კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია კანონით გარანტირებული შესაძლებლობა, დაზარალებულმა მხარემ რაც შეიძლება მარტივად აინაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მას მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად მიადგა. (Dunne, 2014) ამას გააჩნია როგორც რესტიტუციული, ასევე პრევენციული ფუნქცია, ვინაიდან პრაქტიკაში სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ოდენობა იმდენად დიდ მასშტაბებს აღწევს, რომ ეს სამართალდამრღვევ კომპანიებს შესაძლოა ფინანსური მდგრადობის ფასადაც კი დაუჯდეთ.

ვ. ექსტრატერიტორიალურობის პრინციპი<sup>29</sup> (დადებითი)

ეკონომიკაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ამ ეკონომიკის ტერიტორიული საზღვრების შიგნით, (Daujotas, 2011) არამედ მის გარეთ მომხდარი მოვლენებიც, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კონკურენციის დაცვის ოფისის იურისდიქცია ვრცელდებოდეს იმ მოქმედებებზეც, რომლებიც საჯარო თუ კერძო პირებმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ განახორციელეს - ეს უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ კონკურენციის პოლიტიკას.

ზ. გამონაკლისის მიკუთვნებული ინდუსტრიები (უარყოფითი)

სხვა თანაბარ პირობებში უარყოფითი ზეგავლენის მქონე ფაქტორად უნდა დავასახელოთ ზოგიერთი ინდუსტრიის კონკურენციის დაცვის კანონმდებლობიდან გამონაკლისისადმი მიკუთვნება. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც აღნიშნულ ინდუსტრიებზე მართალია, ზოგადად ვრცელდება კონკურენციის დაცვის კანონმდებლობა, თუმცა უფრო შერბილებული ფორმებით, იქნება ეს მატერიალური

---

<sup>28</sup> Dunne, Niamh, The Role of Private Enforcement within EU Competition Law, University of Cambridge Faculty of Law Research Paper No. 36/2014

<sup>29</sup> Daujotas, Rimantas, Extraterritorial Application of Competition Law: Different Angles – Same Conclusion, Queen Mary, University of London, 2011

თუ საპროცესო დანაწესების გათვალისწინებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი გამონაკლისები მოქმედებს ქართულ კონკურენციის სამართალშიც, კერძოდ კი ეკონომიკის რეგულირებად სექტორებთან მიმართებით, რომელთათვისაც სპეციალურ ნორმებს სექტორული მარეგულირებლები აღასრულებენ. ბრედფორდი და ჩილტონი (Bradford & Chilton, 2018)<sup>30</sup> ამავე ტიპის უარყოფით ფაქტორად მოიაზრებენ კომპანიის კატეგორიის (მცირე, საშუალო, დიდი, ან სხვა) მიხედვით დაწესებულ გამონაკლისებსაც.

#### თ. კონკურენციის დაცვის ოფისის სტრუქტურა და დამოუკიდებლობის ხარისხი (დადებითი)

დადებით ზეგავლენის მქონე ფაქტორებს შორის უნდა დავასახელოთ ასევე კონკურენციის დაცვის ოფისის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, რაც პირდაპირ კავშირშია მის სტრუქტურულ მოწყობასთან და ხელისუფლების ამა თუ იმ შტოსთან ანგარიშვალდებულებასთან. ამ მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს კოლეგიური ტიპის ორგანოები, რომლებიც პარლამენტის წინაშე არიან ანგარიშვალდებულები და რომელთა ხელმძღვანელ პირთა თანამდებობაზე დანიშვნა წინასწარ განსაზღვრული ვადით ხდება. კომისიური ტიპის მოწყობა და მმართველობითი ფუნქციების განაწილება, ასევე, კომისიის წევრების პარლამენტის მიერ არჩევის ფაქტი ზრდის სააგენტოს დამოუკიდებლობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიკერძოების რისკების თავიდან აცილებისკენ არის მიმართული<sup>31</sup>.

#### **მატერიალური მოწესრიგება**

კანონმდებლობის მატერიალური (შინაარსობრივი) ნაწილის შეფასების ასპექტში გამოიყოფა სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც კონკურენციის სამართლის ინდექსის მიზნებისთვის უნდა შემოწმდეს. ესენია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა, კონკურენციის შემზღვეველი

<sup>30</sup> Bradford/Chilton, Competition Law Around the World From 1889 to 2010: The Competition Law Index, Oxford University Press, 2018

<sup>31</sup> საქართველოს კანონის პროექტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რეგ. ნომ 07-3/373/9, №1, 19.06.2019, განმარტებითი ბარათი, გვ. 18

შეთანხმებების აკრძალვა და კონცენტრაციების კონტროლი. როგორც ზემოთ აღინიშნა, თითოეულ ამ კრიტერიუმს ინდექსის მეორე ნახევრის (50%) წონის თანაბარი ნაწილი ეთმობა.

#### ა. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა<sup>32</sup>

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ამკრძალავი რეგულაციების შეფასებისას ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული რამდენიმე ფაქტორზე, ესენია:

ზოგადი აკრძალვა, ბაზარზე წვდომის შეზღუდვის აკრძალვა, პროდუქტების და მომსახურებების მიზმის აკრძალვა, კონკურენციის შემზღუდველი ფასდაკლების სისტემების აკრძალვა, არასამართლიანი, მტაცებლური, ასევე დისკრიმინაციული ფასწარმოქმნის აკრძალვა, გადაყიდვასთან დაკავშირებული კონკურენციისსამართლებრივი პრობლემების რეგულირება და აკრძალვის ჩამონათვლის არაამომწურავობა.

#### ბ. კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებების აკრძალვა<sup>33</sup>

რაც შეეხება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების რეგულირებას, ინდექსზე დადებითად აისახება ფასების შეთანხმების აკრძალვა, ბაზრების გადანაწილების, წარმოების შეზღუდვის, სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული მონაწილეობის, პროდუქტების მიზმის, ექსკლუზიური ხელშეკრულებებისა და კონკურენტების ბაზრიდან გამევეების აკრძალვა.

#### გ. კონცენტრაციების კონტროლი<sup>34</sup>

---

<sup>32</sup> აკოლაშვილი, მედეა/სერგია, ნიკა [ავტ. კოლექტივი], საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ.392 და შემდგომნი

<sup>33</sup> ჟვანია, ნინა [ავტ. კოლექტივი], საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ.167 და შემდგომნი

<sup>34</sup> ზუკაკიშვილი, ქეთევან [ავტ. კოლექტივი], საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, გვ.496 და შემდგომნი

კონცენტრაციების კონტროლის ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია წინასწარი შეტყობინების ვალდებულება, შეტყობინების სავალდებულოობა (სანქციები შეუტყობინებლობისათვის), ფუნდამენტური ეკონომიკური შეფასების საჭიროება, ფუნდამენტური შეფასების საჭიროება საჯარო ინტერესის კრილში.

#### 1.2.2.2. რაოდენობრივი კრიტერიუმები

კონკურენციის პოლიტიკის შეფასებისას აქტუალურია როგორც სამართლებრივი, ასევე რაოდენობრივი კრიტერიუმები, რომლებიც, როგორც წესი, გულისხმობს კონკურენციის პოლიტიკის განვითარებაში „ინვესტირებული“ და მისი მეშვეობით ეკონომიკაში დაბრუნებულ სიკეთეთა შედარებით ანალიზს<sup>35</sup>.

რაოდენობრივ კრიტერიუმად ეფექტიანობის შეფასებისთვის არაერთი ფაქტორის აღება შეიძლება. პირველ რიგში ეს კონკურენციის დაცვის ოფისის მიერ წარმოებულ საქმეთა რაოდენობას ეხება. აღსანიშნავია, რომ ეს გარკვეულ პრობლემებთანაცაა დაკავშირებული, ვინაიდან აღნიშნული რაოდენობები არ შეიძლება მივიღოთ როგორც აბსოლუტური მაჩვენებლები და აუცილებელია მათი განხილვა კონკურენციის დაცვის ოფისის თანამშრომელთა რაოდენობასთან, ეკონომიკის მოცულობასთან, ასევე მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით. ეს განპირობებულია იმით, რომ როგორც წესი კონკურენციის დაცვის ოფისები თითქმის ყველა ქვეყანაში მთლიანი სახელმწიფოს მასშტაბით ავრცელებენ იურისდიქციას, ხოლო ეკონომიკები, რომლებსაც ისინი არეგულირებენ ზომაში განსხვავდებიან. დიდი ზომის ეკონომიკებში, ბუნებრივია, უფრო მეტია ალბათობა როგორც დარღვევის არსებობის, ასევე მისი აღმოჩენისა.

სხვა სახის რაოდენობრივ კრიტერიუმად შესაძლებელია განხილულ იქნას კომპანიისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა საშუალოდ ერთ განხილულ საქმეზე, ასევე გაცემული რეკომენდაციების, ჩატარებული შემოწმებებისა და სხვა

---

<sup>35</sup> იხ. Michael W Nicholson, Quantifying Antitrust Regimes, 2004

მაჩვენებლები. თითოეული მათგანი მიუთითებს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობის გარკვეულ ხარისხზე.

### **1.3. ეფექტიანობის შეფასების მეთოდები: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მეთოდი, Global Competition Review-ის მეთოდი, არაბინარული და ხარისხობრივი შეფასების მეთოდები**

ამ თავის მეორე ნაწილში მოყვანილი კრიტერიუმები სხვადასხვა სახით, დანიშნულებითა და კომბინაციით შეიძლება იქნას გამოყენებული კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებისას. ქვემოთ მიმოხილული იქნება კონკურენციის პოლიტიკის შეფასების რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული მოდელი:

#### **1.3.1. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის (WEF) მეთოდი**

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum) დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც ბრეტონ-ვუდსის სისტემის კოლაფსის<sup>36</sup> შემდეგ 1974 წელს დავოსში გამართულ პირველ ფორუმზე ჩაეყარა საფუძველი. ორგანიზაცია ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის მონაცემებს 100-ზე მეტი ქვეყნისათვის. აღნიშნული ინდექსის ერთ-ერთ შემადგენელ ფაქტორს წარმოადგენს ასევე კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობას სპეციალური გამოკითხვების მეშვეობით იკვლევს. ამ გამოკითხვებში ჩართულნი არიან კერძო სექტორის წარმომადგენლები შესაბამისი ქვეყნიდან, რომლებიც პასუხობენ კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ხარისხი სახელმწიფოში, როგორ აისახება ეს ბაზარზე, არსებობს თუ არა ბაზრებზე მონოპოლიური ძალაუფლების მქონე კომპანიები და სხვა.

---

<sup>36</sup> <http://www.nber.org/chapters/c6876.pdf>

## Georgia

66th/140

Index Component	Value	Score *	Rank/140	Best Performer
<b>Pillar 7: Product market</b> 0-100 (best)	-	<b>61.0</b> ↑	<b>42</b>	<b>Singapore</b>
7.01 Distortive effect of taxes and subsidies on competition 1-7 (best)	4.4	57.1 ↑	27	Singapore
7.02 Extent of market dominance 1-7 (best)	3.6	43.1 ↓	80	Switzerland
7.03 Competition in services 1-7 (best)	4.7	61.6 ↓	90	Hong Kong SAR
7.04 Prevalence of non-tariff barriers 1-7 (best)	4.9	65.0 ↓	25	Singapore
7.05 Trade tariffs % duty	0.92	93.9 ↓	5	Hong Kong SAR
7.06 Complexity of tariffs 1-7 (best)	4.4	57.1 ↓	101	Hong Kong SAR
7.07 Efficiency of the clearance process 1-5 (best)	2.4	35.6 ↑	97	Germany
7.08 Services trade openness 0-100 (worst)	11.5	88.5 =	6	Ecuador

**სურათი 1.** ამონარიდი საქართველოს შესახებ WEF 2018 წლის ანგარიშიდან (<https://www.weforum.org>)

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევა მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმ გაგებით, რომ იგი ერთგვარად ორიენტირებულია კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების საბოლოო პროდუქტის ანალიზზე - ბაზრის მონაწილეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ შეგრძნება, რომ ისინი ნამდვილად კონკურენტულ ბაზარზე საქმიანობენ. თუ ამგვარი გრძნობა ვერ ყალიბდება, ეს მიუთითებს სისტემის ნაკლოვანებებზე.

მეორე მხრივ, ზემოთ აღნიშნული კვლევა შესაძლოა, პრობლემური იყოს ხარისხობრივი კუთხით, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახერხებს წარმოაჩინოს ხარვეზების არსებობის ფაქტი ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკაში, ვერ ახერხებს ამ ხარვეზების იდენტიფიცირებას და არ უღრმავდება შესაბამის მიზეზებს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან კონკურენციის პოლიტიკის შეფასება არ წარმოადგენს ამ ორგანიზაციის პირველად მიზანს, ეს მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია საკმაოდ კომპლექსურ ინდექსში, რომელიც ათეულობით მაჩვენებელს მოიცავს. ამავდროულად, შესაფასებელი ეკონომიკების დიდი რაოდენობა ამცირებს სიღრმისეული ანალიზის ფაქტობრივ შესაძლებლობას.

### 1.3.2. Global Competition Review-ის მეთოდი

ანალოგიურად, შეფასებისთვის კერძო სუბიექტთა გამოკითხვებს იყენებს<sup>37</sup> ცნობილი საერთაშორისო ჟურნალი Global Competition Review<sup>38</sup>. კითხვები, რომლებიც კონკურენციის დაცვის ოფისებთან შემხებლობაში მყოფ სუბიექტებს - კომპანიებს, იურისტებს, ეკონომისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს დაესმით, მოიცავენ სხვადასხვა თემას, მათ შორის კონცენტრაციების კონტროლის, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების, ტექნიკური ექსპერტიზებისა და ადგილზე შემოწმებების, კონკურენციის დაცვის ოფისის დამოუკიდებლობის ხარისხის, მენეჯმენტის, ასევე საქმის წარმოების პროცედურის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ინფორმაცია ბევრად უფრო ღრმა ანალიზის საფუძველს იძლევა. ამავადროულად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული ჟურნალი შედარებით ნაკლები რაოდენობის (40-მდე) ქვეყნის შესახებ ამზადებს ინფორმაციას, შეფასების ხარისხის სტანდარტი უშუალოდ კონკურენციის პოლიტიკასთან მიმართებით ბევრად მაღალია.

### 1.3.3. არაბინარული და ხარისხობრივი შეფასების მეთოდები

როგორც WEF, ასევე Global Competition Review-ის ზემოთ მოყვანილი მეთოდები როგორც წესი, ბინარულ შეფასებებს იყენებენ. კერძოდ, რესპოდენტები პასუხს იძლევიან იმის თაობაზე, არის თუ არა კონკრეტული რეგულაცია შესაბამის სახელმწიფოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ბინარული შეფასებები უნივერსალურია, ისინი შესაძლოა ხარისხობრივი შეფასების კუთხით გარკვეულ პრობლემებს ქმნიდნენ.

პიტმანმა<sup>39</sup> (1998) გააანალიზა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობა, სადაც ხარისხობრივად შეაფასა არა მხოლოდ სამი ძირითადი მიმართულების (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კარტელური შეთანხმებები, კონცენტრაციების კონტროლი), არამედ

<sup>37</sup> Michael W Nicholson, Quantifying Antitrust Regimes, 2004, გვ. 22-23

<sup>38</sup> <https://globalcompetitionreview.com> (19.07.2019)

<sup>39</sup> Pittman, Russell. 1998. Competition Law in Central and Eastern Europe: Five Years Later. Antitrust Bulletin 179-197



კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედების ხარისხი ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, რუმინეთსა და რუსეთში. ამ კვლევის ფარგლებში პიტმანმა ყურადღება გაამახვილა ისეთ დეტალებზე, როგორცაა სამართლებრივი დაყოფა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შეთანხმებებს შორის, per se და by effect დარღვევებს შორის და მიუთითა ამგვარი დაყოფის გავლენაზე კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობაზე. ამავდროულად, აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი განსხვავების არარსებობა ზემოთხსენებულ ინსტიტუტებს შორის სცდება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ამგვარი დაყოფა (განსხვავებით დასავლეთ ევროპულისგან) არ არსებობდა, კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობის ხარისხი უფრო მაღალი იყო. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ევროპული ნორმების იმპლემენტაცია ისეთი ტიპის სახელმწიფოებში, როგორცაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და მათ შორის, საქართველო, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს და ნორმების პირდაპირი გადმოტანა შესაძლოა, სულაც არ იყოს ეფექტიანი, რაც აღინიშნა კიდევ წინამდებარე ნაშრომის შესავალში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხარისხობრივი შეფასების მეთოდსაც გააჩნია საკუთარი ნაკლოვანებები სირთულის კუთხით, რომელიც შეფასების სიღრმეს უკავშირდება. კერძოდ, რთულია პანელური მონაცემების მოპოვება ქვეყნების დიდი რაოდენობისათვის, ვინაიდან ეს საჭიროებს ყოველი კონკრეტული რეგულაციის ეფექტის შეფასებას და ამ მონაცემების შეგროვებას სივრცეთა წყებისა და დროითი მწკრივებისათვის. ხოლო დროში (ერთი დროითი მონაკვეთისთვის) ან სივრცეში (ერთი ქვეყნისთვის) შეზღუდული მონაცემების დამუშავება არ მოგვცემს სასურველ შედეგს.

#### **1.3.4. კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების ინდექსი**

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან აშკარა ხდება, რომ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის. ამავდროულად, ივარაუდება, რომ ამ პროცესს გააჩნია ეფექტი

როგორც საბაზრო სტრუქტურაზე მიკროეკონომიკულ ჭრილში, ასევე მთლიანად ეკონომიკაზე - მაკროეკონომიკურ კონტექსტში. მიუხედავად ამისა, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ზეგავლენა მაკროეკონომიკაზე, თუნდაც მის კონკრეტულ ცვლადებზე დამატებით შესწავლასა და კვლევას საჭიროებს.

როგორც კვლევამ უჩვენა, არსებობს მთელი რიგი კრიტერიუმებისა, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკის შეფასებისას. ამავდროულად, მეთოდები, რომლითაც ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ფასდება აღსრულების ეფექტიანობა, მრავალფეროვანია, თუმცა ნაკლოვანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობის შეფასების უნივერსალური მეთოდის შემუშავება, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნას ნაშრომში განხილული მეთოდების კომბინირების გზით, კერძოდ, როგორც ბინარული, ასევე ხარისხობრივი მონაცემების დამუშავების შედეგად, რომლებიც სრულად მოიცავენ ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს.

კერძოდ, მნიშვნელოვანია, ახალმა ცვლადმა ასახოს როგორც მნიშვნელოვან წყაროთა სარეიტინგო მონაცემები (WEF, Global Competition Review და სხვ.), ასევე ბინარული და არაბინარული შეფასების შედეგები, კერძოდ ბრედფორდისა და ჩილტონის, ასევე პატმანის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები. აღნიშნული მონაცემების აგრეგირების შედეგად შესაძლებელია განვსაზღვროთ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობის ინდექსი, რომელსაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩავრთავთ ეკონომეტრიკულ ანალიზში:

$$CPE = WEF \times \ln CLI_{raw} \times FINE \quad (1)$$

შესაბამისად, CPE ინდექსს გამოვითვლით შემდეგი პრინციპით: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის უშუალოდ ანტიმონოპოლიური რეგულირების შეფასებას (1-დან 7-მდე მნიშვნელობა) ვამრავლებთ CLI ინდექსის ნედლი მნიშვნელობის

ნატურალურ ლოგარიტმზე, ხოლო შემდეგ მიღებულ სიდიდეს ვამრავლებთ სანქციის ინდექსზე.

(1)-ში CPE კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების ინდექსია, WEF მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წლიურ ანგარიშში ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკისთვის მინიჭებული ინდექსი,  $CLI_{raw}$  ბრედფორდისა და ჩილტონის მიერ შემუშავებული ინდექსის გამარტივების საფუძველზე მიღებული სიდიდეა, ხოლო FINE - ქვეყნის კონკურენციის დაცვის ოფისის მიერ დაკისრებული ჯარიმის თანაფარდობა მისსავე საბიუჯეტო დაფინანსებასთან, კლასიფიცირებული 1-დან 3 ქულამდე. კერძოდ, თუ აღნიშნული თანაფარდობა 1-ზე ნაკლებია, იწერება 1 ქულა, თუ 1-დან 5მდეა, იწერება 2 ქულა, ხოლო თუ 5-ზე მეტია, 3 ქულა. რაც შეეხება ნედლ  $CLI$ -ს ინდექსს, იგი თავის მხრივ შედგება ორი ნაწილისგან, უწყებრივი და სამართლებრივი ნაწილისგან.  $CLI_{row} = 1 + \text{უწყების ბიუჯეტი/სახელმწიფო ბიუჯეტთან*10000} + \text{უწყების მახასიათებლები (მაქს. 8 ქულა)}$ . ნედლი ქულა გამოითვლება შემდეგნაირად: უწყებრივი ნაწილი თავის მხრივ შედგება ბიუჯეტისა და დამოუკიდებლობის ელემენტებისგან, ხოლო სამართლებრივი ნაწილი კარტელების, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონცენტრაციების კონტროლისგან. CPE ინდექსები სამიზნე ჯგუფის ქვეყნებისათვის დეტალურად მოცემულია დანართში.

## თავი II. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სიტუაციური ანალიზი

### 2.1. მშპ და მშპ-ის წლიური ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია, უმუშევრობა

მაკროეკონომიკა შეისწავლის ეკონომიკას, როგორც მთლიანობას<sup>40</sup> (რომერი, დ., 2018). აღნიშნულის გათვალისწინებით, სწავლობს რა განვითარებაზე ზეგამვლენ ფაქტორთა ფართო სპექტრს როგორც ცალცალკე, ასევე ერთობლიობაში, მაკროეკონომიკას, როგორც მეცნიერების დარგს, უწევს პასუხი გასცეს სახელმწიფოებისა და ეკონომიკების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ძირეულ კითხვებს არაერთი მიმართულებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ რთულია გამოიყოს ერთეული რაოდენობის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება ძირითადად მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, შეუძლებელია, მაკროეკონომიკური ზეგავლენებისა და ფაქტორების ანალიზისას შემოვიფარგლოთ მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ზოგადი მაჩვენებლებით და უგულვებელყოთ, მაგ. უმუშევრობა, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ასპექტები, სახელმწიფო ვალი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინფლაცია და ფასების დონე, ტექნოლოგიური პროგრესი და მწარმოებლურობა და სხვა. ამ ტიპის მაჩვენებელთა ჩამოთვლა, ბუნებრივია, შორს წაგვიყვანს. მიუხედავად აღნიშნულისა, წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს არც მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ზოგადი მაჩვენებლით შემოფარგვლა და ამავდროულად სამაგისტრო კვლევის ფორმატი ასევე ზღუდავს ჩვენს ამბიციას, განსახილველი დამოკიდებულებები (კონკურენციის პოლიტიკის ზეგავლენის შეფასება) გაანალიზდეს შეუზღუდავად ყველა ფაქტორთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების იდენტიფიცირება, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, როგორც მთელზე და შეუძლია ახსნას ეკონომიკური განვითარების, როგორც ცვლადის უმეტესი

<sup>40</sup> Romer, David, Advanced Macroeconomics, 5<sup>th</sup> ed., Mc Graw Hill Education, 2018, გვ.1

ნაწილი. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, „ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ეკონომიკის მასშტაბების რაოდენობრივ გადიდებას, ეკონომიკური განვითარება კი მის თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას“<sup>41</sup> (აბესაძე, რ., 2016., გვ.7). თუმცა ხაზი უნდა გაესვა იმას, რომ მიუხედავად მშპ-სა კეთილდღეობას შორის არსებული მაღალი კორელაციისა, აუცილებელია ამ ცნებების გამიჯვნა. თუმცა ამ განსხვავებათა უმეტესი ნაწილი წინამდებარე ნაშრომის მიზნებსა და თემატიკას სცდება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ სწორედ GDP-ის ზოგადი, აგრეგირებული ხასიათი ქმნის აუცილებლობას, ზოგიერთი, თუნდაც მასთან მაღალ კორელაციაში მყოფი ცვლადი (მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა) ცალკე გამოვყოთ და მასთან მიმართებით ცალკე შევაფასოთ საკვლევი საგანი, ანუ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების ზეგავლენის ხარისხი.

ცვლადების შერჩევასაც ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რამდენად რეალისტურია კვლევის მასშტაბის გათვალისწინებით შესაბამისი პანელური მონაცემების მოპოვება თითოეული მათგანისთვის, რათა დამუშავებული ეკონომიკური მოდელების ვალიდურობა საბოლოოდ ექვეყნებ არ დადგეს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, შერჩეულ იქნა ოთხი ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკაში, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემო აბზაცში ხსენებული პარამეტრების შერჩევა არ ყოფილა შემთხვევითი რამეთუ ისინი პასუხობენ ეკონომიკური განვითარების იმ მიმართულებებსა და ასპექტებს, რომელთა მიმართებითაც რელევანტურობას ავლენს კონკურენციის პოლიტიკა და მისი მიზნები. კერძოდ, ინფლაცია რელევანტურია იმდენად, რამდენადაც ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის პირველადი მიკროეკონომიკული მიზანი ბაზარზე საფასო და ხარისხობრივი კონკურენციის გაძლიერებაა, რაც ბუნებრივია, ფასების კლებაზე,

---

<sup>41</sup> აბესაძე, რამაზ, ეკონომიკური განვითარების თეორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2006., გვ. 7

მათ ზღვრულ დანახარჯებთან მიახლოებასა და წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე უნდა ახდენდეს გავლენას. შესაბამისად, ლოგიკურია, სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპზე გავლენას ახდენდეს კონკურენციის პოლიტიკაც, რაც ინფლაციას ამ კვლევისთვის რელევანტურ ფაქტორად აქცევს.

კონკურენციის ხარისხის მატებას და ეკონომიკურ აგენტთა ქცევის ეფექტიანობის ზრდას ორი საწინააღმდეგო მიმართულებით შეიძლება ჰქონდეს შედეგები უმუშევრობაზე. ერთი მხრივ იგი განაპირობებს ეფექტიანი კომპანიების ზრდას და შესაბამისად, მუშახელზე მოთხოვნის ზრდას, რასაც უმუშევრობასთან მიმართებით დადებითი ეფექტი აქვს, თუმცა მოკლევადიან პერიოდში ცალკეული კომპანიების ეფექტიანობის ზრდამ შესაძლოა დანარჩენი კომპანიების ბაზრიდან გაძევება განაპირობოს. სწორედ ამას გულისხმობდა შუმპეტერი როდესაც „კრეატიულ ნგრევაზე“<sup>42</sup> საუბრობდა<sup>43</sup>, ხოლო მისი თანამედროვე გამოვლინებები კარგად აღწერა ცნობილმა ამერიკელმა იურისტმა და ეკონომისტმა - უილიამ კოვაჩიჩმა მის გამოსვლაში OECD-ის 2019 წლის კონკურენციის გლობალურ ფორუმზე, სათაურით “Competition Under Fire” (Kovacic, 2019). ამ პრეზენტაციისას<sup>44</sup> კოვაჩიჩმა აუდიტორიას წარუდგინა კონკურენციის შედეგები ამერიკულ ავტონდუსტრიაში და მისი გავლენა ავტომწარმოებელ ქალაქებზე, მათ შორის დეტროიტსა და პიტსბურგში (აშშ), 1950-იან და 1960-იან წლებში. პროფესორის თქმით მძაფრმა კონკურენციამ კვლევისა და განვითარების (R&D) კუთხით და ინოვაციებმა სრულად დაანგრია ძველი ყაიდის ინდუსტრია, დახურა უზრამაზარი ქარხნები, რომლებზეც ქალაქის სოციალური ჯაჭვი იყო დამოკიდებული და ასიათასობით ადამიანის უმუშევრობა გამოიწვია. რა თქმა უნდა, გრძელვადიან პერიოდში, გადამზადებისა და გადანაწილების შემდეგ სამუშაო ძალის ბაზარზე შესაბამისი გადანაცვლებები მოხდა, თუმცა მოკლევადიან პერიოდში ეს პროცესი მძიმე და მტკივნეული იყო. აღნიშნული გარემოებები განაპირობებს იმას, რომ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ზეგავლენის ანალიზისას უმუშევრობა,

---

<sup>42</sup> *schöpferische Zerstörung* (გერმ) (ავტ. შენ.)

<sup>43</sup> Schumpeter, J. A. , *Capitalism, Socialism and Democracy*, London, 1994 წლის გამოცემა, გვ. 82–83

<sup>44</sup> Competition on Fire William E. Kovacic George Washington University Global Forum on Competition OECD, Paris, 5 December 2019, პრეზენტაცია, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.slideshare.net/OECD-DAF/competition-under-fire-kovacic-december-2019-oecd-discussion> (უკანასკნელი წვდომის თარიღი: 06.06.2020)

როგორც მაკროეკონომიკული ფაქტორი მაღალი რელევანტურობით ხასიათდება და ამ ნიშნით იქნება განხილული ქვემოთაც.

ლოგიკურია ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყოფა, როგორც ისეთ ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორისა, რომელზეც შესაძლოა გავლენას ახდენდეს კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულებით მიღწეული სტაბილურობისა და სამართლიანობის დამკვიდრების შედეგად სახელმწიფო მიმზიდველობის ზრდა უცხოური ინვესტიციისათვის. ქართულ რეალობაში ეს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს DCFTA შეთანხმების მოქმედების პირობებში, რომელიც ქართულ ბაზარს ხსნის ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოთა რეზიდენტი ინვესტორებისათვის, ხოლო მათთვის ევროპულის მსგავსი ან ანალოგიური სამართლებრივი გარემო ბაზარზე შესვლისთვის შესაძლოა განსაკუთრებული ინტერესის განმაპირობებელი იყოს.

ბუნებრივია, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების მაკროეკონომიკურ ზეგავლენაზე საუბარი შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის შემოწმების გარეშე. მით უფრო, რომ ამ ნაშრომის III თავში მოხმობილმა არაერთმა სამეცნიერო კვლევამ უჩვენა, რომ სხვადასხვა ეკონომიკისათვის ამ ზეგავლენის მნიშვნელოვნება დასტურდება. ამავდროულად, ეკონომიკური ზრდა (მშპ-ის ზრდა), ერთ-სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდასთან ერთად ეკონომიკური განვითარების უმთავრესი მდგენელია და მაკროეკონომიკური ანალიზისათვის ყველაზე გავრცელებული შედეგობრივი ცვლადია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზეგავლენის შეფასებისას, განსახილველ ეკონომეტრიკულ მოდელებში ჩართულ უნდა იქნეს მშპ-ის ზრდაც.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა, რომელიც ნაწილობრივ ხსნის შერჩეულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და მათ მნიშვნელობას წინამდებარე კვლევის კონტექსტში, მიზანშეწონილია, ქვემოთ შედარებით დეტალურად მოხდეს მათი მიმოხილვა და მთავარი აქცენტების გამოკვეთა.

### 2.1.1. მშპ და ეკონომიკური ზრდა

მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი) ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში<sup>45</sup> (ლოკიე, ბლეიდსი, 2015, გვ. 20) და ქვეყანაში ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ფართოდ ცნობილი და ყველაზე ხშირად გამოყენებადი საზომია. ქვეყნის მშპ შეიძლება განისაზღვროს წარმოების, დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი მეთოდი ჯამში ერთსა და იმავე შედეგებს გვაძლევს, თითოეული მშპ-ის სხვადასხვა კუთხით განიხილავს. ერთობლიობაში სამივე მიდგომის გამოყენება უფრო სრულ სურათს გვაძლევს ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ვიდრე მათგან ნებისმიერი ცალკე აღებული. (ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ., 2018).

მშპ-ის განსაზღვრება გვაძლევს წარმოდგენას მისი შემადგენელი ელემენტების შესახებაც. კერძოდ, იგი განიმარტება როგორც ქვეყნის შიგნით ახლადწარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა დროის ფიქსირებული პერიოდისათვის. აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ვებ-გვერდზე ასევე შემოთავაზებულია მშპ-ის განმარტება, რომელიც რამდენიმე მხრიდან გვანახებს ამ მაჩვენებელს. კერძოდ:

„მშპ არის ჯამური ღირებულება ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურებისა იმ საქონლისა და მომსახურების გამოკლებით, რომელიც გამოყენებულ იქნა წარმოებისთვის. მშპ ასევე ტოლია კერძო სამომხმარებლო დანახარჯების, მთლიანი კერძო დანაზოგების, საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტისა და სახელმწიფო დანახარჯებისა და მთლიანი ინვესტიციების ჯამისა“. (აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტი, ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ვებ-გვერდი: <https://www.bea.gov/data/gdp/gross-domestic-product>).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იქმნება ერთობლივი შემოსავლებისა და დანახარჯების იგივეობა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

---

<sup>45</sup> ლოკიე, ფრანსუა/ბლეიდსი, დერეკ, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ, მეორე გამოცემა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2015, პირველად გამოქვეყნებულია OECD მიერ ინგლისურ ენაზე სათაურით: Understanding National Accounts: Second Edition, გვ. 20



$$\begin{matrix} \text{წარმოების} \\ \text{ერთობლივი} \\ \text{მოცულობა} \end{matrix} = \begin{matrix} \text{ერთობლივი} \\ \text{შემოსავალი} \end{matrix} = \begin{matrix} \text{ერთობლივი} \\ \text{დანახარჯები} \end{matrix} \quad (1)$$

იმის გათვალისწინებით, რომ მშპ-ის გამოთვლა დროის მიმდინარე პერიოდში არსებული საბაზრო ფასებით ხდება, დროის მომდევნო და წინა პერიოდებთან ფასების დონეებს შორის განსხვავებამ შესაძლოა, არ ასახოს ეკონომიკის რეალური სურათი. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია რეალური მშპ-ის ცნების შემოღება, რაც ნომინალური მაჩვენებლის მშპ-დეფლატორზე გაყოფით მიიღება.


არსებობს სხვადასხვა ხერხი, რომლითაც შესაძლებელია ნომინალური და რეალური მაჩვენებლების განცალკევება. შესაძლებელია მაჩვენებლების, გამოსახვა საბაზისო წლის ფასებით, რითაც რეალურ ცვლადებს მივიღებთ. ფასების ინდექსი – ეს არის გარკვეულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საშუალო დონის ცვლილების მაჩვენებელი მიმდინარე პერიოდში საბაზისოსთან შედარებით. GDP-ის დეფლატორი – ეს არის ფასების ინდექსი, რომელიც განსაზღვრავს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საერთო დონის ცვლილებას, რომლებიც გაითვალისწინება GDP-ში და გამოითვლება ფორმულით<sup>46</sup>

$$\text{რეალური GDP} = \text{ნომინალური GDP} / \text{GDP-ის დეფლატორი}/100)$$

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ნათლად აჩვენებს განსხვავებას რეალურ მშპ-სა და ინფლაციით გაზრდილ, ანუ მიმდინარე ფასებში დათვლილ მშპ-ს შორის.

---

<sup>46</sup> ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ., ლექციების კურსი მაკროეკონომიკაში მაგისტრატურა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2018




დიაგრამა 1. საქართველოს მშპ მიმდინარე და მუდმივ ფასებში. (წყარო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (05.07.2020))

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას ისიც, რომ მაკროეკონომიკური ანალიზისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უშუალოდ მშპ, არამედ მეტი მნიშვნელობა ენიჭება მისი ზრდის ტემპს, რომელიც მეტწილად ასახავს ეკონომიკური განვითარების ტემპსაც.

უფრო მეტიც, რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში ეს მაჩვენებელი სრულიად არ არის აბსტრაქტირებული და არარეალური, არამედ იგი სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ პოლიტიკოსები თუ ინდივიდუალური მომხმარებლები და აქედან გამომდინარე მთლიანი ეკონომიკა. ჩვენი ყოველდღიურობა გადატვირთულიც კია სატელევიზო თუ ბეჭდური გამოცემების მიერ მშპ-სა და მისი ზრდის ტემპზე საუბრით, რაც კრიზისების პერიოდში (მაგ. მიმდინარე, 2020 წლის covid-19-თან დაკავშირებული კრიზისი. პოლიტიკოსების ყურადღებას აღწერილი მაჩვენებელი იმიტომაც იმსახურებს, რომ ხშირად მშპ-ის ზრდა მთავრობების პირველადი მიზანია, ხოლო ამ მიმართულებით ჩავარდნა მათი ეფექტიანობის უარყოფითად შეფასების საფუძველი და ინდიკატორი. ეს ხშირად განაპირობებს იმასაც, რომ მთავრობები მოკლე ვადზე გათვლილ ზრდასაც თანხმდებიან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს განვითარება მდგრადი (ვან დენ

ბერგი, 2008, გვ 120-121)<sup>47</sup>, ნაწილობრივ, მშპ-ის ბრალიც კია რომ ეკონომისტებს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ (კობი, ჰალსტედი და როვე, 1995, გვ.11)<sup>48</sup>

ქვემოთ მოცემულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები საქართველოსთვის 2011-2019 წლებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

<sup>47</sup> Van den Bergh, Jeroen C.J.M., "The GDP Paradox", Journal of Economic Psychology, no. 30, 2009, გვ. 117-135

<sup>48</sup> Cobb, C., Halstead, T. & Rowe, J. If the GDP is Up, Why is America Down?, 1995, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.theatlantic.com/past/docs/politics/ecbig/gdp.htm> (უკანასკნელი წვდომის თარიღი 06.06.2020)

### 2.1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენელ ნაწილს ზოგადად ინვესტიციები შეადგენს, საზოგადოების ყურადღება როგორც წესი უფრო მეტად გამახვილებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. შესაძლოა ეს განპირობებული იყოს იმითაც, რომ განვითარებადი ეკონომიკებისათვის ამ სახის ინვესტიციებს უფრო რეალური, ქმედითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ინვესტიციის ფლობელი უცხოელი რეზიდენტი, ეკონომიკური აქტივობისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, ქმნის რა ეკონომიკაში დამატებით რგოლებსა და აქტივობის წერტილებს და შეაქვს რა საკუთარი წვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოური ინვესტიციები შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს. მნიშვნელოვანია გამოვყოთ პორტფელური ინვესტიციები, ანუ დაბანდება და რეალური ინვესტიციები. პირველი მათგანი გულისხმობს არარეზიდენტი პირების მიერ ფასიანი ქაღალდების შეძენას. ასეთი შენაძენი ბუნებრივია, ორიენტირებულია ფასიანი ქაღალდიდან შემოსავლის მიღებაზე და არ შესწევს უნარი მფლობელს მნიშვნელოვანი კონტროლი მოაპოვებინოს საწარმოზე. იმავეს ვერ ვიტყვით რეალურ ინვესტიციაზე, რომლის ქვეშაც უნდა მოვიანოთ ისეთი ინვესტირება, რომელიც ძირითადი კაპიტალის შექმნაზეა ორიენტირებული. ასეთი ინვესტიცია უმეტესწილად გრძელვადიანია და შესაბამისად ეკონომიკურ განვითარებაზე მისი შედეგების ასახვაც უფრო მდგრადია და ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი.

წინამდებარე კვლევისათვის პუი-ის რელევანტურობას სწორედ ისეთ ინვესტიციები განაპირობებენ, რომლებიც ძირითადი კაპიტალის შექმნაზე არიან ორიენტირებულები, თუმცა მიუხედავად ამისა, კვლევისთვის აღებული მონაცემები ამ პრინციპით დაყოფილი არ არის, ვინაიდან ამ სახის ინფორმაციის მოპოვება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მით უფრო როდესაც საჭიროა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება.

აღსანიშნავია, რომ არაერთი მეცნიერის აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ადამიანური განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია (Maertens M., 2012)<sup>49</sup> (მარტენსი მ., სვინერი., ჯ., 2012). ეს პირველ რიგში დაკავშირებულია იმასთან, რომ როგორც კვლევები უჩვენებს, როგორც წესი უცხოური კომპანიები იხდიან უფრო მეტს ხელფასის სახით, ვინაიდან იყენებენ უფრო მაღალი ხარისხის ტექნოლოგიებს და უკეთეს სამუშაო პრაქტიკას რეპუტაციული რისკების გამო<sup>50 51</sup>. (კოლენი და სხვები, 2009; ლიფსი და სიოჰოლმი, 2004).

გლობალიზაციის ხარისხის ზრდასთან ერთად წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისი ვიზუალიზაცია მოცემულია ქვემოთ:



დიაგრამა 2: ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მსოფლიოს ქვეყნებისათვის, მლნ აშშ დოლარში, წყარო: UNCTAD (2020)<sup>52</sup>

<sup>49</sup> Miet Maertens, Miet/ Swinnen, Johan F.M., Gender and Modern Supply Chains in Developing Countries, The Journal of Development Studies, 48:10, 2012 გვ. 1412-1430

<sup>50</sup> Colen, L./ Maertens/ M. /Swinnen, J., Foreign direct investment as an engine for economic growth and human development: a review of the arguments and empirical evidence, Human Rights and International Legal Discourse 2009(2), 2009, გვ. 137-176.

<sup>51</sup> Lipsey, R.E. and Sjo`holm, F. (2004) Foreign direct investment, education and wages in Indonesian manufacturing. Journal of Development Economics, 73, გვ. 415-422

<sup>52</sup> ხელმისაწვდომია ონლაინ, <https://unctad.org/en/Pages/DIAE/FDI%20Statistics/FDI-Statistics.aspx> (30.06.2020)

მიუხედავად ზოგადი ზრდის ტრენდისა, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის კრიზისის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2019 წელს ბოლო წლების პიკურ 2 ტრილიონიან მაჩვენებელს ისედაც ჩამოცდენილი მაჩვენებელი 2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებლით 40%-იან ვარდნას განიცდის და 2005 წლის შემდეგ პირველად შესაძლოა 1 ტრილიონს ჩამოცდეს (UNCTAD, 2020).

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული მაჩვენებლების თითქმის ნახევარზე მეტი განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებში შესული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენს. შესაბამისად, ამ კონტექსტში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ ცალკეული მიზეზების ძიება, რამაც შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინოს ინვესტორთა წახალისებაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებაზე მოქმედი ფაქტორების კვლევა ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ<sup>53</sup>:

1. თეორიები, რომლებიც ცდილობენ გამოიკვლიონ, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები ინვესტიციების მასშტაბებზე
2. თეორიები, რომლებიც იკვლევენ ინვესტიციების გავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე და მის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (ჭარაია, 2015)

ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გავლენის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა ტიპისა და მიზნის ინვესტიციის განხორციელება აქვს განზრახული ინვესტორს. ამის მიხედვით შესაძლებელია კაპიტალდაბანდებათა 4 კატეგორიად დაყოფა:

1. ბუნებრივი რესურსების მაძიებლები
2. ეფექტიანობის მაძიებლები
3. ბაზრის მაძიებლები

---

<sup>53</sup> ჭარაია, ვახტანგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე), დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, გვ. 24

#### 4. სტრატეგიული აქტივების მაძიებლები (Dunning & Lundan, 2008)<sup>54</sup>

მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ინვესტორზეა საუბარი, ზემოხსენებულ ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ის სამართლებრივი გარემო, რომელიც მას მიმღებ ქვეყანაში ხვდება<sup>55</sup>. (Perry, 2000) სწორედ ეს განაპირობებს ვარაუდს, რომ კონკურენციის პოლიტიკა და მისი აღსრულების ხარისხი გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე გარდამავალი ტიპის ეკონომიკებისთვის და არამხოლოდ.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის პოლიტიკის ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასებისას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსაც ირიბად ვეხებით, ქვემოთ ცალკე განვიხილავთ მის გავლენას ამ კომპონენტზე, ვინაიდან მნიშვნელოვანია უფრო დეტალური სურათის დანახვა.

#### 2.1.3. ინფლაცია

ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ფასების სტაბილურობაა. სწორედ სამომხმარებლო კალათის ფასების დონის ცვლილების ამსახველ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს ეწოდება ინფლაცია. იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც არსებული ეკონომიკური გარემოს ანალიზისათვის, ასევე ეკონომიკური პროგნოზირებისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას 1992 წლიდან. ინდექსი ზომავს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილებას. მონაცემები იკრიბება ყოველი

---

<sup>54</sup> ციტირებულია: ჭარაია, ვახტანგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე), დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015

<sup>55</sup> Perry, A. (2000). Effective Legal Systems and Foreign Direct Investment: In Search of the Evidence. *The International and Comparative Law Quarterly*, 49(4), 779-799

თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში საცალო ვაჭრობის და მომსახურების 1800-ზე მეტ ობიექტზე<sup>56</sup>.

ინფლაციის შენარჩუნება გარკვეულ ნიშნულზე გრძელვადიან პერიოდში, ანუ ინფლაციის თარგეტირება საქართველოს ეროვნული ბანკის პირველადი მიზანი და ფუნქციაა.

„საქართველოში მოქმედებს ინფლაციის თარგეტირების რეჟიმი, რომელიც გულისხმობს ინფლაციის წინასწარ განსაზღვრული მაჩვენებლის მიღწევას საშუალოვადიან პერიოდში. ამდენად ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა არ ითვალისწინებს ინფლაციის დონის 0 პროცენტამდე შემცირებას, არამედ 2019-2021 წლებისთვის ინფლაციის დონის 3 პროცენტზე შენარჩუნებას.“<sup>57</sup>



დიაგრამა 3. საბაზო ინფლაცია საქართველოში, 2010-2020 წწ., (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ზემო ნახაზზე კარგად ჩანს, რომ ინფლაციის დონე საქართველოში 2010-2020 წლებში საშუალოდ ნამდვილად 3%-ის გარშემო მოძრაობს. ზოგიერთ შემთხვევაში იგი მვედრად ჩამოუვარდება კიდევ მიზნობრივ მაჩვენებელს, ხოლო 2014-2016, ასევე 2017

<sup>56</sup> (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020), ვებ-გვერდი: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika>

<sup>57</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=550>, უკანასკნელი წვდომის თარიღი 07.07.2020



და 2019 წლებში აღემატება მას. ამაზე ზეგავლენას არაერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. კერძოდ სამომხმარებლო კალათის ფასების ცვლილება შეიძლება არაერთმა ფაქტორმა განაპირობოს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევით ხდება, მაგალითად, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის ზრდამ ამ პროდუქტებზე ფასები ერთორად გაზარდა, ხოლო ინფლაციაზე ზემოქმედება სამომხმარებლო კალათაში ამ პროდუქტების წილის შესაბამისად მოხდა.

ინფლაციაზე საქართველოში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაც. იმის გათვალისწინებით, რომ სამომხმარებლო კალათაში შესული პროდუქტების ნაწილი იმპორტირებულია, მათი ფასი, გამოსახული ეროვნულ ვალუტაში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მწარმოებელი ქვეყნის ვალუტასთან გაცვლით კურსზე, რომელიც თავის მხრივ ხშირად ებმის ლარი აშშ დოლართან გაცვლის კურსს, ვინაიდან ეს უკანასკნელი მსოფლიო საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე მეტად გამოყენებადი ვალუტაა. სწორედ ამიტომ, რომ გაცვლით კურსზე ზემოქმედება ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთი მექანიზმია ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე შენარჩუნებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კეინზიანური მიდგომა ინფლაციას უპირატესად უარყოფით მოვლენად განიხილავს, ეკონომიკურ სამეცნიერო წრეებში მაინც დიდი ადგილი რჩება ამ თემაზე დისკუსიებისათვის. მეცნიერები მსჯელობენ იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია ინფლაციის შენარჩუნება მკაცრად დაბალ ნიშნულზე და ხომ არ იქნებოდა უკეთესი მისი თარგეტირება მაგალითად საშუალო მაჩვენებელზე, დაახლოებით 4%-ის გარშემო<sup>58</sup>. (Blanchard, Dell'Ariceia, & Mauro, 2010). პოპულარული პოზიცია ამ მიმართულებით ისაა, რომ ინფლაციის ან მისი გაურკვევლობის უარყოფითი ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე მცირეა, თუ ინფლაცია განსაკუთრებით მაღალი არ არის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია გააზრებულ იქნას დინამიური ურთიერთკავშირები ინფლაციას, ინფლაციის მოსალოდნელი დონიდან გადახრას,

---

<sup>58</sup> Blanchard, O., Dell'Ariceia, G., & Mauro, P. (2010). Rethinking Macroeconomic Policy. *Journal of Money, Credit and Banking*, 199-215

წარმოების ზრდასა და წარმოების მოსალოდნელი დონიდან გადახრას შორის<sup>59</sup>.  
(Hartmann & Roestel, 2013)

შესაბამისად, მიუხედავად ზემო აბზაცში ნახსენები სამეცნიერო დისკუსიისა, მეცნიერთა უდიდესი ნაწილი ერთხმად თანხმდება ინფლაციის მოსალოდნელი დონიდან გადახრის უარყოფით შედეგებზე ეკონომიკისა და ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც ზრდის ტემპის, ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ეკონომიკაში კერძო აქტორთა გადაწყვეტილებებს შეუძლიათ ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ფასებზე. ამის კარგი მაგალითია კარტელური შეთანხმებები, რომელიც ყველაზე ხშირად სწორედ ფასების ზრდას ან მათ არაბუნებრივად მაღალ დონეზე შენარჩუნებას ეხება. იგივე შეიძლება ითქვას მონოპოლიურ საბაზრო სტრუქტურებზეც, რომლებიც რეგულირებადი ეკონომიკური სექტორების მიღმა არიან. ასეთ შემთხვევებში კომპანიები ცდილობენ პროდუქციაზე ფასების ზრდას და ამას ხშირად შეუქცევადი ხასიათი აქვს. ამ კუთხით შეიძლება ვივარაუდოთ ისიც, რომ კარტელური შეთანხმებებისა და კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა კანონდარღვევების შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენები შეიქმნას ინფლაციაზეც. ასე მაგალითად 2015 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 2010-2013 წლებში საქართველოში საავტომობილო საწვავის ფასი უკანანოდ იყო გაზრდილი საშუალოდ 20-25 თეთრით, რაც ერთ ლიტრ საწვავზე ფასის 10%-ს აღემატება<sup>60</sup>. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საავტომობილო საწვავი პრაქტიკულად ნებისმიერი პროდუქტის წარმოებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია, ამ ფასნამატმა დიდი ალბათობით გავლენა იქონია არა მხოლოდ საწვავის, როგორც სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქტის, არამედ სხვა პროდუქტებისა და მომსახურების ფასებზეც და შესაბამისად ინფლაციაზეც. მიუხედავად აღნიშნულისა,

---

<sup>59</sup> Hartmann, M., & Roestel, J. (2013). Inflation, output and uncertainty in the era of inflation targeting – A multi-economy view on causal linkages. *Journal of International Money and Finance*, 98-112

<sup>60</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 14 ივლისის №81 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 165-179

გადაწყვეტილების ფარგლებში არ მომხდარა განსახილველი კანონდარღვევის მაკროეკონომიკური შედეგების, მათ შორის, ინფლაციაზე ზეგავლენის რაოდენობრივი შესწავლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფლაციაზე, როგორც ერთ-ერთ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიან აღსრულებასაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკის ამ მიმართულების უმთავრესი მიზანი სწორედ მონოპოლიური ფასწარმოქმნისა და კონკურენციის შემზღვევლი მართლსაწინააღდეგო გარიგებების აღმოფხვრაა. შესაბამისად, ნაშრომის შემდგომ თავში ლოგიკური იქნება შესაბამის ეკონომეტრიკულ მოდელში კონკურენციის პოლიტიკის როგორც დამოუკიდებელი ცვლადის ჩართვაც.

#### 2.1.4. უმუშევრობა

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის რთული ელემენტი და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიური სფეროა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური განვითარების ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები.

უმუშევრობა კი შეგვიძლია მოვიაზროთ როგორც მოვლენა შრომის ბაზარზე, როდესაც ამ ბაზრის მონაწილე, ფიზიკური პირი მიუხედავად სურვილისა და შესაძლებლობისა, ვერ ახერხებს სამუშაო ადგილის შოვნას. უფრო ზუსტი განმარტება კი სტატისტიკურ ორგანიზაციებს, მაგ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შეგვიძლია დავესესხოთ.

კერძოდ, საქსტატის განმარტებით, *უმუშევრად ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში<sup>61</sup>.*

---

<sup>61</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ვებ-გვერდი: <https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf> უკანასკნელი წვდომის თარიღი: 30.06.2020

მნიშვნელოვანია განვიხილოთ უმუშევრობის დონე, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებელი. იგი წარმოიშობა შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დარღვევისა და არაკონკურენტული ხელფასის გამო. 1945 წლიდან 1968 წლამდე ევროპის ძირითად ეკონომიკებში განსაკუთრებულად დაბალი იყო დღევანდელი ბალანსთან შედარებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი ამ დროის განმავლობაში არ აღემატებოდა 1,8% და არ გადაუჭარბებია 2,5%. მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ მიზეზები უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებული. კერძოდ, აქ უნდა ვიგულისხმოთ ძლიერი ტალღები იმ ახალი პროდუქტებისა და პროცესებისა, რომელიც ამ პერიოდში გავრცელდა და მთელ მსოფლიოს მოედო<sup>62</sup>.

საქართველოსთვის უმუშევრობა ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლისთვის უმუშევრობის დონე საქართველოში თუნდაც 12%-ს არ აღემატებოდა (11,6% (საქსტატი), უნდა აღნიშნოს ის, რომ დასაქმებულ მოსახლეობაში უდიდესი წილი უჭირავს თვითდასაქმებულებსა და არაფორმალურ დასაქმებას.


მაგალითისთვის, არასასოფლო-სამეურნეო სექტორში არაფორმალური დასაქმების წილი ბოლო წლების განმავლობაში 33%-ს აღემატებოდა:

არაფორმალური დასაქმება (2017-2019)					
	ქალი	მამაკაცი	ქალაქი	სოფელი	სულ
<b>2017</b>	29.2	37.9	33.2	35.8	<b>33.9</b>
<b>2018</b>	29.8	41.5	34.6	40.0	<b>36.2</b>
<b>2019</b>	29.2	39.3	33.8	36.8	<b>34.7</b>

<sup>62</sup>წყარო: <https://ukdiss.com/examples/unemployment-as-an-indicator-of-macroeconomic-performance.php>

ცხრილი 1: არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში, 2017-2019 (%); წყარო: საქსტატი, ვებ-გვერდი: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, მათი რიცხვი დასაქმებულებში საშუალოდ 50%-ის ფარგლებში მერყეობს, თუმცა ბოლო წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება.



დიაგრამა 4. დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა %-ული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში (1998-2019); წყარო: საქსტატი<sup>63</sup>, ვებ-გვერდი: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად უმუშევრებს არ მიეკუთვნებიან, თვითდასაქმებულები მნიშვნელოვნად დაბალი შემოსავლიანობით, დაბალი მწარმოებლურობითა და დაბალი ეკონომიკური აქტივობით ხასიათდება. სწორედ ამიტომ რეალური მაკროეკონომიკური ეფექტების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ დაქირავებით დასაქმებულთა მაჩვენებელს. ამ უკანასკნელზე კი პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიების ეკონომიკურ აქტივობასა და საბაზრო სტრუქტურების ცვლილებას, მათ შორის შეწყობებისა და შეძენების (Mergers and Acquisitions) მეშვეობით.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, კომპანიები (უფრო ხშირად მსხვილი კომპანიები) ხშირად მიმართავენ კონცენტრაციას ამა თუ იმ ფორმით, იქნება ეს

<sup>63</sup> გადამუშავებულია ავტორის მიერ

შერწყმა, აქციების შეძენა, აქტივების შეძენა თუ სხვა. ამის მიზეზი პირველ რიგში ეფექტიანობის გაზრდაა (კომპანიის გადმოსახედიდან). შეწყმის შედეგად ხშირ შემთხვევაში ერთიანდება კომპანიების მენეჯმენტი, არაერთი სტრუქტურული ერთეული და შესაძლებელია იმავე მოცულობის საქმის შესრულება შედარებით ნაკლები ადამიანის მიერ. ამავდროულად, კონცენტრაციის შედეგად ხდება კვლევისა და განვითარების (R&D) შედეგების გაერთიანება, რის შედეგადაც ხშირად ვხვდებით ტექნოლოგიური ცვლილებების მომსწრე, რაც თავის მხრივ თანამედროვე დიגיტალიზაციისა და რობოტიზაციის პროცესების გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის იწვევს სამუშაო ადგილის დაკარგვას (გრძელვადიან პერიოდში, ბუნებრივია, ეს ნორმალური, არაუარყოფითი პროცესია). სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში, მიღებულია კორპორაციული მართვის დუალური სისტემა, რაც კომპანიის აღმასრულებელი გუნდის (დირექტორატი) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კონტროლს მოიაზრებს, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოში თავის მხრივ, გარანტირებული ადგილი აქვს კომპანიაში დასაქმებულთა წარმომადგენელს, რომელიც მათ ინტერესებს იცავს.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის პოლიტიკის პირველადი საგანი არამც და არამც არ არის სოციალური საკითხები და მით უფრო შრომითი ურთიერთობები (ეს გაწერილია კანონის დონეზე, კერძოდ, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ეს კანონი არ ვრცელდება შრომით ურთიერთობებზე), იგი მაინც ახდენს სოციალურ გავლენას, შესაბამისად, კონკურენციის დაცვის ოფისსაც საქართველოში თუ საზღვარგარეთ უწევს მხედველობაში მიიღოს რეგულირების ეკონომიკური ზეგავლენა მათ შორის სოციალურ ჭრილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებას, გარკვეული გავლენა აქვს უმუშევრობაზეც, არეგულირებს რა კონცენტრაციას, როგორც საბაზრო სტრუქტურის ცვლილების მექანიზმს და ახდენს კარტელისა და დომინირებული მდგომარეობის პრევენციას, მათ შორის კომპანიების ბაზრიდან განდევნისა და მარჟის შეზღუდვის აკრძალვის ჭრილში, რასაც პირდაპირი შედეგები

შეიძლება მოჰყვეს ამ კომპანიებში დასაქმებული პირებისათვის, კომპანიებისთვის საჭირო მუშახელი რაოდენობის ცვლილებასთან ერთად.

## **2.2. კონკურენციის პოლიტიკის გავლენის ანალიზი: სამომხმარებლო დანაზოგის მიდგომა, მაკროეკონომიკური მოდელის მიდგომა**

### **2.2.1. ძირითადი დაშვებები კონკურენციის პოლიტიკის გავლენის შესახებ**

კვლევები უჩვენებს<sup>64</sup> (Aghion & Schankerman, 2004), რომ კონკურენცია ბაზარზე მწარმოებლურობას ზრდის სამი ძირითადი მექანიზმის მეშვეობით

1. გადარჩევის მექანიზმი - კონკურენცია იწვევს ნაკლებად ეფექტიანი მოთამაშეების გამეფებას ბაზრიდან

2. რესტრუქტურისაციის მექანიზმი - კონკურენცია აღძრავს მოტივაციას კომპანიებში, მაქსიმალურად შეამცირონ დანახარჯები

3. შესვლის მექანიზმი - კონკურენცია სტიმულს აძლევს უფრო ეფექტიან მოთამაშეებს, შევიდნენ ბაზარზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პრაქტიკაში სრულყოფილი კონკურენციის მოდელი ვერ იმუშავებს, რაც კონკურენციის თეორიისთვის რელევანტურმა კვლევებმა ადამ სმიტიდან დღემდე ნათლად აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები კონკურენციას საბაზრო ფასწარმოქმნის აუცილებელ პირობად განიხილავდნენ (ჩიქობავა, 2017)<sup>65</sup>, მოგვიანებით კვინზმა უჩვენა, რომ ეს აუცილებელი პირობა ბაზარზე თავისთავად ვერ ჩამოყალიბდება და

---

<sup>64</sup> Aghion, P., Schankerman, M., On the Welfare Effects and Political Economy of Competition-enhancing Policies, *The Economic Journal*, no. 114, 2004, pp. 800–824.

<sup>65</sup> ჩიქობავა, მალხაზ, კონკურენციის დეფინიციის შედარებით ანალიზი, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“ შრომების კრებული, თბილისი, 2017, გვ. 273-274

ვერ იმუშავებს (ჩიქობავა, 2017)<sup>66</sup>. შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტული გარემო შესაბამის ბაზრებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დავუშვებთ, რომ ჭეშმარიტია ორივე დებულება, კერძოდ, ერთი მხრივ, კლასიკური სკოლის (სმიტი, რიკარდო) მიდგომა იმის თაობაზე, რომ ბაზარს კონკურენცია არეგულირებს, ხოლო მეორე მხრივ კეინზიანური მიდგომა (ფართო გაგებით), იმის თაობაზე, რომ ბაზარი არ არის წმინდად თვითრეგულირებადი მექანიზმი, მივიღებთ, რომ სახელმწიფოს ფუნქციაა, ხელი შეუწყოს (თუნდაც, ჩარევის გზით) კონკურენციაზე დაფუძნებული საბაზრო სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ხოლო სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა, უფრო სწორად კი ჩარევის წესი, მეთოდოლოგია, კრიტერიუმები და ხარისხი ქმნის სწორედ სახელმწიფო კონკურენციის პოლიტიკას, რაც აღსრულების ასპექტში უკვე შესაბამისი ინტერვენციების ერთობლიობაში ჰპოვებს გამოვლინებას.

ზემოთ მოყვანილი გადარჩევი, რესტრუქტურისა და შესვლის მექანიზმები, ასევე კონკურენციის პოლიტიკის მიზნები გვაძლევს წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რა პრინციპით შეიძლება კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებამ იმოქმედოს ბაზარზე მიკროეკონომიკური გაგებით და ეკონომიკაზე მაკროეკონომიკურ ჭრილში.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისა და კვლევის ფარგლებში დასმული ჰიპოთეზის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონკურენციის პოლიტიკის გავლენის შესახებ მოსაზრებები მაინც არ არის ერთგვაროვანი. ზოგიერთი ეკონომისტი, მაგ. ავსტრიის სკოლის წარმომადგენლები (von Mises, 1940) ამტკიცებდნენ, რომ ჩარევები, რომლებსაც რაიმე კვეთა აქვს ბაზრის თავისუფლებასთან, საზოგადოებას აზიანებენ. მათი მიხედვით, კონკურენციის პოლიტიკაც არ არის გამონაკლისი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიზანი სწორედ ბაზრის თავისუფალი მოქმედების მექანიზმის - კონკურენციის დაცვაა.

---


<sup>66</sup> ჩიქობავა, მალხაზ, კონკურენციის დეფინიციის შედარებით ანალიზი, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“ შრომების კრებული, თბილისი, 2017, გვ. 276



უფრო მოგვიანებით, კრენდალი და უინსტონი (Crandall & Winston, 2003) ამტკიცებდნენ, რომ აშშ-ის ანტიმონოპოლიური სამართალი არაეფექტიანი იყო. ისინი გულისხმობდნენ, რომ არაეფექტიანობა უპირატესად განიპირობებული იყო ანტიკონკურენციული ქმედებების აღმოჩენისა და აღმოფხვრის სირთულით.

თუმცა ბეიკერი (Baker, 2003) და ვერდენი (Werden, 2003) არ ეთანხმებოდნენ კრენდალსა და უინსტონს და ამტკიცებდნენ, რომ კონკურენციის პოლიტიკას სოციალურ კეთილდღეობაზე დადებითი ეფექტი ჰქონდა. კერძოდ, ისინი თვლიდნენ, რომ უფრო მეტიც, კონკურენციის პოლიტიკას ფირმების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების შემცირების მიმართულებით დადებით ეფექტი ჰქონდა კონკურენციის დაცვის ოფისების პირდაპირი ჩარევის გარეშეც კი, ვინაიდან კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებას შემაკავებელი ეფექტიც ჰქონდა.

თუ შევაჯამებთ ზემოთ ხსენებული დისკუსიის შედეგებს და ასევე გაბატონებულ მოსაზრებებს ლიტერატურაში, შესაძლებელი ხდება კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გადაცემის მექანიზმისა და შესაბამისად, მისი ეფექტების სტრუქტურული წარმოდგენა:



### ნახაზი 1: კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გადაცემა მიკრო და მაკრო დონეზე

შესაბამისად, ვიღებთ სურათს, რომლითაც ვასკვნით, რომ კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს როგორც პირდაპირ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ

ბაზრებზე სტრუქტურული თუ სხვა სახის ცვლილებები, ეს კი თავის მხრივ ასევე აისახება მაკროეკონომიკულ პარამეტრებზე, როგორც ეს მოცემულია ნახაზზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენა ორი მიმართულებიდან მომდინარეობს, პირველი - პოლიტიკის აღსრულების უშუალო შედეგია, ხოლო მეორე ბაზარზე მიკროეკონომიკური ცვლილებების შედეგად გადაცემული.

ხშირ შემთხვევაში კვლევის საგანს წარმოადგენს კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ზემოქმედება უშუალოდ კონკრეტულ ბაზარსა და მის მონაწილეებზე. ეს, როგორც წესი ექცევა კონკურენციის დაცვის ოფისების კომპეტენციაში და სწორედ მათ მიზნებს ემთხვევა. მაგალითად, ხორციელდება უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება, რეგულირების ეფექტის შეფასება და ბაზარზე მათი გავლენის შემოწმება. მაგალითად საქართველოს კონკურენციის სააგენტოს რამდენიმე ასეთი მონიტორინგი/ანალიზი აქვს ჩატარებული<sup>67</sup>. ასეთ შემთხვევაში შეფასების უმთავრეს ინდიკატორს მომხმარებლის დანაზოგი წარმოადგენს, რაც კონკურენციის გავლენის შეფასების ერთ-ერთი მიდგომაა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს მხოლოდ სამომხმარებლო დანაზოგის შეფასება, არამედ კვლევა მიზნად ისახავს გაანალიზოს გავლენები, რომლებსაც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე ჯამურად აქვს ადგილი, როგორც პირდაპირი, ასევე გადაცემითი გზით. თუმცა, ჩვენ ქვემოთ მოკლედ მაინც მიმოვიხილავთ სამომხმარებლო დანაზოგის მიდგომას.

---

<sup>67</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება, შეფასების ობიექტი: 2017 წლის 5 სექტემბრის №04/248 და 2018 წლის 7 აგვისტოს №04/216 ბრძანებებით დამტკიცებული გადაწყვეტილებები, მარტი, 2020 წ;

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება, შეფასების ობიექტი: 2015 წლის 22 აპრილის N45 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებები, ივნისი 2019 წ;

### 2.2.2. სამომხმარებლო დანაზოგის მიდგომა

კონკურენციის დაცვის ოფისების უმეტესობა კონცენტრირდება კონკურენციის ოპლიტიკის აღსრულების იმ ეფექტებზე, რომლებიც სამომხმარებლო დანაზოგს (ნამეტს<sup>68</sup>) უკავშირდება. როდესაც ითვლიან სამომხმარებლო დანაზოგზე ზეგავლენას, ეს უწყებები ასხვავებენ ეფექტებს შერწყმების კონტროლის, ანტიმონოპოლიური აღსრულებისა და სექტორული რეგულირების კუთხით.

სამომხმარებლო დანაზოგის ფართო ცნების ქვეშ უნდა მოვიაზროთ მომხმარებლის კეთილდღეობა, რომელიც რიცხვით ენაზე ითარგმნება როგორც მომხმარებლის სარგებელი, რომელსაც იგი იღებს იმით რომ შეუძლია შეიძინოს საქონელი ან მომსახურება უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ისურვებდა, რომ გადაეხადა, ან გადაიხდიდა სხვა შემთხვევაში. სტანდარტული დაშვებების შესაბამისად, მომხმარებლის კეთილდღეობა მაქსიმალურ წერტილს სწორედ სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში აღწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ სრულყოფილი კონკურენცია მისი ზოგადი თეორიული გაგებით უფრო მეტია, ვიდრე კარტელური შეთანხმებებისგან ან მაღალი კონცენტრაციისგან თავისუფალი ბაზარი, ვინაიდან ეს მხოლოდ ცალკეული კომპონენტია სრულყოფილი კონკურენციის კონცეფციისა. რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომხმარებლის დანაზოგის ფუნქციის თეორიული მაქსიმუმის მიღწევა ისევე ჰიპოთეტურია, როგორც სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო სტრუქტურა.

ვან სინდერენმა და კემპმა (van Sinderen & Kemp, 2008) თავიანთ კვლევის შედეგად<sup>69</sup>, რომელიც ნიდერლანდების სამეფოს კონკურენციის პოლიტიკის ანალიზს ეხებოდა დაასკვნეს, რომ ამგვარი შეფასებები მხოლოდ ზოგად სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ რა ეკონომიკური ეფექტი იქონია კონკურენციის დაცვის ოფისის გადაწყვეტილებამ და ისინი კონცენტრირდებიან მხოლოდ მოკლევადიან და სტატიკურ ეფექტებზე.

---

<sup>68</sup> Consumer surplus

<sup>69</sup> van Sinderen, J., & Kemp, R. (2008). The Economic Effect Of Competition Law Enforcement: The Case Of The Netherlands. *De Economist* 156, 365–385

მიუხედავად აღნიშნულისა, მოხმარებლის დანაზოგის შეფასების მიდგომას გარკვეული უპირატესობებიც გააჩნია, კერძოდ, იგი, როგორც წესი, კონკურენციის დაცვის ოფისის გადაწყვეტილების პირდაპირ ეფექტს უჩვენებს, რაც აღქმისთვის შედარებით მარტივია. ამავდროულად, იგი სრულად პასუხობს იმ მოლოდინს, რომელიც ამგვარი ანალიზის მიმართ არსებობს. კერძოდ, მოხმარებლის დანაზოგით დაინტერესებულია სწორედ სექტორის სპეციფიური მონაწილე და მისი შეფასებები სწორედ სექტორის გადმოსახედიდან იქმნება, შესაბამისად, ამგვარი აგენტებისათვის უკეთესიც კია სრული მაკროეკონომიკური კონტექსტისგან თავისუფალი ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ კონკურენციის პოლიტიკის მიკროეკონომიკური შედეგები არ შემოიფარგლება მხოლოდ სამომხმარებლო დანაზოგის საკითხით. რეალობაში მხედველობაში მიიღება მიმწოდებლის დანაზოგიც (ეფექტიანობა) და სწორედ ჯამური მაჩვენებლით, ანუ ჯამური დანაზოგისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზანი ისახება. ამის კარგი მაგალითია კანადური ჰილსდაუნის (Canadian Hillsdown) შემთხვევა, სადაც ყურადღება სწორედ მიმწოდებლის მხრის დანაზოგზე მახვილდება. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მიმწოდებლის დანაზოგი აღემატებოდეს იმ დანაკარგს, რომელიც მონოპოლისტური ფასწარმოქმნის პრინციპის გამო მოხმარებლის გადმოსახედიდან იქმნება, რითაც გარანტირებული იქნება მთლიანი ეფექტიანობის ზრდა<sup>70</sup>. (Bian & McFetridge, 2000)

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ კონკრეტული სექტორის ფარგლებში განხილული მოხმარებლის (ან მოხმარებლისა და მიმწოდებლის ჯამური) დანაზოგის წილი მთლიან ეკონომიკაში, აგრეგირებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში ან ცალკეულ მათგანში (მაგ. მშპ-ში) ძალზე მცირეა და იგი ვერ იძლევა პასუხს კითხვაზე, რელურად ასეთივე მცირეა კონკურენციის პოლიტიკის გავლენა მაკროეკონომიკაზე, მაგ. ეკონომიკურ ზრდაზე, თუ რელურად ამ ქმედებებს (პოლიტიკის აღსრულება შესაბამისი ორგანოს მხრიდან) აქვს გარკვეული გამაძლიერებელი ეფექტი, რომელიც არაპირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და მის ხარისხობრივ ცვლილებაზე ზეგამვლენ მნიშვნელოვან ფაქტორებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამომხმარებლო დანაზოგის ანალიზი განიხილავს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი სქემის (იხ. ნახაზი:1 ) მხოლოდ პირველი ორი უჯრედის (კონკურენციის პოლიტიკა და მიკროეკონომიკური ეფექტები ბაზარზე) ურთიერთკავშირს და უგულვებელჰყოფს როგორც კონკურენციის პოლიტიკის უჯრედიდან გამომავალ პირდაპირ მიმართებას

<sup>70</sup> Bian, L. G., & McFetridge, D. (2000). The Efficiencies Defence in Merger Cases: Implications of Alternative Standards. *The Canadian Journal of Economics*, 297-318

მაკროეკონომიკასთან, ასევე ბაზრის მიკროეკონომიკური ეფექტიანობის ცვლილების რეალურ შედეგებს მაკროეკონომიკურ კონტექსტში.

### 2.2.3. მაკროეკონომიკური მოდელის მიდგომა

კონკურენციის პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების მაკროეკონომიკური მოდელის მიდგომა ბევრად კომპლექსურია, ვიდრე სამომხმარებლო დანაზოგის შეფასების საკითხი. მაკროეკონომიკურმა მოდელმა უნდა მოიცვას როგორც უშუალო რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე ის გადაცემის ეფექტი, რომელიც კონკურენციის პოლიტიკის შემაკავებელ უნარს<sup>71</sup> (Baker, 2003) შეიძლება ახლდეს თან.

ზემო აბზაცში მოყვანილი დაშვება გვაფიქრებინებს, რომ შეფასებულ უნდა იქნას ისიც, თუ რაზე შეიძლება გავლენა იქონიოს „მეტმა კონკურენციამ“ საბაზრო გარემოში და რა სახის მაკროეკონომიკური შედეგები შეიძლება მოგვცეს მისმა ზრდამ. ამ საკითხს გარკვეულწილად უკვე ეხება წინამდებარე ნაშრომის I თავის მე-2 ნაწილი, სადაც მიმოხილულია კონკრეტული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების რელევანტურობა ერთი მხრივ კონკურენციის პოლიტიკასთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ მათი მნიშვნელობა ზოგადად მაკროეკონომიკური ანალიზისათვის, თუმცა მეტი კონკრეტიკისთვის მიზანშეწონილია დამატებითი მსჯელობა იმ მექანიზმებთან დაკავშირებით, რომლითაც ეკონომიკური პოლიტიკის აღსრულება გავლენას ახდენს ამ და სხვა მაჩვენებლებზე.


2014-2016 წლებში ევროკომისიის კონკურენციის დირექტორატმა ჩაატარა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კვლევა კონკურენციის პოლიტიკის ეკონომიკური გავლენების შეფასების შესახებ, სადაც შეფასებულ იქნა როგორც მიკრო- ასევე მაკროეკონომიკური ეფექტები რომლებსაც დამოუკიდებელი ცვლადი (კონკურენციის პოლიტიკა) იწვევდა<sup>72</sup>. (Ilzkovitz & Dierx, 2015)

<sup>71</sup> Baker, J. B. (2003). The Case for Antitrust Enforcement. *Journal of Economic Perspectives*, 17 (4), 27-50

<sup>72</sup> Ilzkovitz, F., & Dierx, A. (2015). *Ex-post economic evaluation of competition policy enforcement: A review of the literature*. Brussels

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კვლევის მიზნებისათვის კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის ეფექტები ერთმანეთისგან გამიჯნულად იყო გაანალიზებული, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ეს ცნებები გაერთიანებულია კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების ცნებაში, იმ დაშვებით, რომ კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულება პირდაპირ და ხელშესახებ კავშირშია კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებასთან, ანუ კონკურენციის განვითარებასთან.

ევროკომისიის კვლევა საინტერესოა იმიტაც, რომ იგი გვთავაზობს კონკურენციის პოლიტიკის ზეგავლენის მაკროეკონომიკურ მოდელს სქემატური სახით, სადაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მისი ზემოქმედების მექანიზმი:




## ნახაზი 2: კონკურენციის პოლიტიკის მაკროეკონომიკაზე ზეგავლენის მოდელი<sup>73</sup>

როგორც მოდელიდან ჩანს, კონკურენციის ეფექტი მაკროეკონომიკურ გარემოზე დაყოფილია მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სექციებად, რამაც საბოლოოდ გავლენა უნდა მოახდინოს სამუშაო ძალის, კაპიტალისა და მწარმოებლურობის ზრდაზე, ასევე ეკონომიკურ ზრდაზე ზოგადად და უმუშევრობის შემცირებაზე. თუმცა თვითონ კონკურენციაზე ზეგამვლენი ფაქტორები ასევე ცალკეა ჩამოთვლილი და ინსტიტუტები, აღსრულება და კანონმდებლობის ძალა და ეფექტიანობა ცალკე ფაქტორებადაა განხილული.

წინამდებარე ნაშრომი ეჭვქვეშ არ აყენებს ევროკომისიის წარმომადგენელთა (Ilzkovitz & Dierx, 2015) შემოთავაზებულ მოდელში კონკურენციაზე ზეგამვლენი ფაქტორების რელევანტურობას, თუმცა შემოაქვს ახალი აგრეგირებული ფაქტორი კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობის სახით, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე საკანონმდებლო, გაზომვადი აღსრულებისა და რანჟირებულ სარეიტინგო მონაცემებს (მაგ. WEF ანგარიშები). შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი სქემა მიიღებს შემდეგ გამარტივებულ სახეს:

---

<sup>73</sup> წყარო: Ilzkovitz, F., & Dierx, A. (2015). *Ex-post economic evaluation of competition policy enforcement: A review of the literature*. Brussels, გვ.88 (თარგმნილია ავტ. მიერ)



ნახაზი 3: კონკურენციის პოლიტიკის მაკროეკონომიკური ზეგავლენის მოდიფიცირებული მოდელი

ამავდროულად, კვლევის მიზნებისათვის უგულვებელყოფილია ეფექტების დაყოფა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და განხილულია ეფექტიანი აღსრულების როგორც ცვლადის მაკროეკონომიკური ზეგავლენა ჯამურად, სამივე ტიპის ეფექტის აგრეგირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც ლიტერატურის ანალიზი უჩვენებს, ეკონომიკური პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობის მაკროეკონომიკური გავლენა განსხვავებულია განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ტიპის ეკონომიკებისათვის.

დალკირმა უჩვენა<sup>74</sup>, რომ (Dalkir, A quantitative evaluation of effectiveness and efficiency of competition policies across countries, 2007) კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობას შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება განვითარებადი და განვითარებული ქვეყნებისთვის, ასევე ევროკავშირის წევრი და არაწევრი

<sup>74</sup> Dalkir, S. (2007). A quantitative evaluation of effectiveness and efficiency of competition policies across countries. CUTS/CDRF International Research Symposium. New Delhi



ქვეყნებისთვის და უფრო მეტიც, ევროკავშირში ახლადგაწვერიანებული და შედარებით ძველი, მეტად განვითარებული წევრებისათვის. აღნიშნული მოსაზრება იმავე ავტორის მიერ გადამოწმებულ იქნა 2015 წლის კვლევაშიც (Dalkir, A quantitative evaluation of effectiveness and efficiency of competition policies across countries, 2015), რომელმაც ზუსტად იგივე შედეგი უჩვენა<sup>75</sup>. აღნიშნულზე ყურადღება გამახვილებულ იქნა ზემოთაც<sup>76</sup> როდესაც კონკურენციის პოლიტიკის მიზნებსა და ფუნქციებზე საუბრისას გამიჯნულ იქნა განვითარებული, განვითარებადი და სწრაფადგანვითარებადი (გარდამავალი) ქვეყნები.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მონაცემები და შესაბამისი მოდელები გამიჯნა ასევე სამამ<sup>77</sup> (Sama, 2013) კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობის ეკონომეტრიკული შეფასებისას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ განხილულია კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების გავლენა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე საქართველოსა და მისი მსგავსი გარდამავალი ან სწრაფად განვითარებადი ეკონომიკების მაგალითზე, კერძოდ: საქართველო, უკრაინა, სომხეთი, რუმინეთი, ლიეტუვა<sup>78</sup>

### თავი III. კონკურენციის პოლიტიკის გავლენის შეფასება

#### 3.1. კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ზოგადი ექვილიბრიუმის ანალიზი, ეკონომიკური ზრდის რეგრესიული მოდელი.

##### 3.1.1. ზოგადი ექვილიბრიუმის ანალიზი

კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიან აღსრულების კავშირი ეკონომიკის რედისტრიბუციასთან (გადანაწილების პოლიტიკა) არაერთი კვლევით დასტურდება

<sup>75</sup> Dalkir, S. (2015). A quantitative evaluation of effectiveness and efficiency of competition policies across countries. doi:10.13140/RG.2.1.2632.6567

<sup>76</sup> წინამდებარე ნაშრომი, გვ. 10-11

<sup>77</sup> Sama, D. (2013). The Effectiveness of Competition Policy: An Econometric Assessment in Developed and Developing Countries

<sup>78</sup> მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთი და ლიეტუვა ცალსახად ვერ იქნება მიჩნეული გარდამავალი ტიპის ეკონომიკად, მათი მონაცემების ჩართვა კვლევაში რელევანტურია ეკონომიკური განვითარების მსგავსი ეტაპების გავლის, ასევე ევროკავშირში გაწვერიანების შედარებით გვიანი თარიღის გამო

(Dierx, და სხვ., 2016). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზოგადი ექვილიბრიუმის ანალიზის მიდგომა, რომელსაც ევროკომისიის მიერ ჩატარებულმა მორიგი კვლევა დაემყარა.

ზოგადი ექვილიბრიუმის დინამიკურ-სტოქასტური მოდელი (DSGEM) კარგი ბაზისია ამგვარი კვლევისათვის იმის გათვალისწინებით, რომ იგი მოიცავს მიკროეკონომიკურ ბაზისსაც.

კვლევა (Dierx, და სხვ., 2016) თავის მხრივ ასევე ეყრდნობა ილკოვიცისა და დირქსის (Ilzkovitz & Dierx, 2015) კვლევას, რომელიც შედარებით ზოგადი ხასიათისაა და მეტწილად არსებული ლიტერატურისა და კვლევების მიმოხილვას მოიცავდა.

კვლევის ფარგლებში გაზომილ იქნა ზემოთ ხსენებული სამომხმარებლო დანაზოგი და ასევე კონკურენციის პოლიტიკის შემაკავებელი ეფექტის გავლენა, რომელსაც შედარებით ფართო მაკროეკონომიკური შედეგები აღმოაჩნდა.

ცხრილში მოცემულია მომხმარებელთა დანაზოგის მოცულობა სხვადასხვა იურისდიქციისათვის:

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2008-2015 (საშუალო)
ევროკავშირი	5.1	5.9	8.9– 13.4	4.4– 6.4	2.6– 5.7	3.8– 4.7	2.7– 5.5	1.4– 2.8	5.3
აშშ (DOJ და FTC ერთად)	0.6	1.8	0.6	1.4	6.1	1.0	2.7	3.3	2.2
გაერთიანებული სამეფო (CC და OFT ერთად)	2.3	2.4	1.3	1.0	0.9	1.0	0.5	0.5	1.2
ნიდერლანდები (NMA/ACM)	0.6	0.1	1.4	5.7	3.4	9.9*	3.9*	1.6*	2.2

\* არ არის შედარებადი 2012 წლის მონაცემთან მეთოდოლოგიის ცვლილების გამო

**ცხრილი 2:** მომხმარებელთა დანაზოგის მოცულობა გამოსახული მშპ-ის %x10<sup>-2</sup> მაჩვენებლით

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, მიუხედავად მნიშვნელოვანი აბსოლუტური რაოდენობებისა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მომხმარებლის დანაზოგის ფარდობითი მოცულობა საკმაოდ მცირეა. შესაბამისად, იგი არ მოიცავს სხვა სარგებელს, რომელსაც ბაზარი იღებს კონკურენციის პოლიტიკის შემაკავებელი

ეფექტების შედეგად, კერძოდ, ხარისხის გაუმჯობესებას, არჩევანის ზრდასა და ინოვაციას.

თავის მხრივ კონკურენციის პოლიტიკის შემაკავებელი ეფექტი რაოდენობრივად გაზომვადია და ამ მიმართულებითაც არაერთი კვლევაა ჩატარებული. (Twynstra Gudde, 2005) (Deloitte, 2007) (London Economics, 2011) (SEO Amsterdam Economics (Stichting voor Economisch Onderzoek), 2011). ტვინსტრა გუდის კვლევამ უჩვენა, რომ კონკურენციის დაცვის ოფისის მიერ დაბლოკილი ყოველი შერწყმა ბაზარზე იწვევს დაგეგმილი შერწყმების 6%-ზე უარის თქმას, ხოლო 12%-ის მოდიფიცირებას, რაც რიცხვებში 7,5 ტრანზაქციას უდრის. იმავე ტენდენციას უჩვენებს დელოიტის 2007 წლის კვლევაც, რომლის მიხედვითაც, ეს მაჩვენებლები 8 და 7%-ია. ლონდონ ეკონომიქსის კვლევის მიხედვით, რომელიც შედარებით გვიან ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 2008 წლის რევიზიის შემდეგ ჩატარდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ეფექტიანობა, დაგეგმილი შერწყმების 18% უქმდებოდა, ხოლო 15% მოდიფიცირებას განიცდიდა. SEO-ს 2011 წლის კვლევამ კი უჩვენა, რომ ყოველ აღმოჩენილ კარტელს სხვა ხუთი კარტელისთვის აქვს გარკვეული შემაკავებელი ეფექტი.

ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ კონკურენციის პოლიტიკის შემაკავებელი ეფექტიდან გამომდინარე მისი ზეგავლენა შესაძლოა ბევრად აღემატებოდეს პირველადი დათვლით მიღებულ სამომხმარებლო დანაზოგს და ამით კიდევ უფრო მეტად უწყობდეს ხელს ეკონომიკური სარგებლის გადანაწილების მექანიზმის მოქმედებას მწარმოებლებიდან მომხმარებელზე.

სწორედ ამას აღწერს ფასნამატის შოკების მაკროეკონომიკური მოდელი (Dierx, და სხვ., 2016)

$$Y_t^j = (L_t^j - FC_L^j)^\alpha (u_t^j K_t^j)^{1-\alpha} - FC_Y^j \quad (1)$$

რომელიც აღწერს კონკურენციის პოლიტიკის ზემოქმედებას  $j$ -იურ ფირმაზე, რომელიც მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში მოქმედებს, სადაც  $Y_t^j$  მისი

გამოშვებაა  $t$  დროში, რომლისთვისაც  $L_t^j$  სამუშაო ძალას და  $K_t^j$  კაპიტალს იყენებს, ხოლო ფიქსირებული დანახარჯების მოცულობა ( $FC_t^j$ )-ს ტოლია.

თავის მხრივ მოდელი მოაზრებს იმასაც, რომ ფირმის მიერ დაქირავებული მუშახელი არაერთგვაროვანია და იგი შედგება დაბალი და მაღალი უნარების მქონე დასაქმებულებისგან, რაც შემდეგნაირად გამოისახება,

$$L_t^j = \left( \Lambda_L^\mu (\chi_L L_{L,t}^j)^{\frac{\mu-1}{\mu}} + \Lambda_H^\mu (\chi_H L_{H,t}^j)^{\frac{\mu-1}{\mu}} \right)^{\frac{\mu}{\mu-1}} \quad (2)$$

სადაც  $L_{L,t}^j$  დაბალი, ხოლო  $L_{H,t}^j$  მაღალი უნარების მქონე დასაქმებულებს გამოსახავს,  $\Lambda$  მათი განაწილების მაჩვენებელია, ხოლო  $\mu$  მათ შორის შეცვლის ელასტიკურობისა.

თუ ვიგულისხმებთ, რომ ფირმის მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა და

$$PR_t^j = P_t^j Y_t^j - W_{L,j}^j L_{L,j}^j - W_{H,j}^j L_{H,j}^j - i_t^K P_t^j K_t^j \quad (3)$$

(3)-ით გამოისახება, სადაც  $i$  კაპიტალის საპროცენტო განაკვეთია და ვაჩვენებთ, რომ

$P_t^j = P_t$ , იგივეობა სიმეტრიულია და ფირმები ფასებს ზღვრულ დანახარჯებზე ფასნამატის დამატებით იღებენ, მივიღებთ, რომ

$$P_t^j = (1 + \tau_t^j) MC_t^j \quad (4)$$

სადაც  $\tau_t^j$  ფასნამატია და შემცვლელის ელასტიკურობისა  $\sigma^d$  და ფასნამატის შოკების  $\varepsilon_{mpk,t}$  ფუნქციას წარმოადგენს:

$$\tau_t^j = \frac{1}{\sigma^d - 1} + \varepsilon_{mpk,t} \quad (5)$$

ბუნებრივია,(5)-ის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მოხდება თუ კონკურენციის პოლიტიკა გამკაცრდა და უფრო ეფექტიანი გახდა,  $\varepsilon_{mpk,t}$  უარყოფით მნიშვნელობას შეიძენს (უარყოფითი ფასნამატი), რითაც  $\tau_t^j$  მნიშვნელობა შემცირდება, რაც აისახება  $P_t^j$ . ხოლო თუ ამ შედეგს განვაზოგადებთ ეკონომიკაზე, მივიღებთ ფასების დონის შემცირებას.

თავის მხრივ ფასების დონის შემცირება გავლენას ახდენს ფირმების გადაწყვეტილებაზე, რომლებიც ამის გამო მთლიანი მოთხოვნის ზრდას მოელიან და მოკლევადიან პერიოდში ზრდიან მოთხოვნას შრომასა და კაპიტალზე.

